ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
2022 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ჩამონათვალი:

1) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. **„ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფონდებში დაცული ეთნოგრაფიული მასალების (საექსპედიციო დღიურები, ვიზუალური მასალა) თემატური დამუშავება, გამოსაცემად მომზადება და გამოცემა“** –5. სოციალური მეცნიერებანი 5.1. ეთნოლოგია; 2018- 2022 წწ.
2. **„ქ.ბათუმის სხვადასხვა სოციალური ჯგუფის სოციოლოგიური კვლევა (რესპოდენტთა სოციოლოგიური გამოკითხვის მასალების მიხედვით)“** – 5. სოციალური მეცნიერებანი. 5.1. სოციოლოგია; 2018- 2022 წწ.
3. **„ბათუმი XIX საუკუნის 30-40-იან წლებში“** – 6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი, 6.1. ისტორია და არქეოლოგია; 2022 წ.
4. **„ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში XV-XX ს-ის 90-იან წწ.“** – 6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი, 6.1. ისტორია და არქეოლოგია; 2018-2022 წწ.
5. **„ციხისძირის კომპლექსური არქეოლოგიური ძეგლი (ისტორიულ–არქეოლოგიური კვლევა)“** – 6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი, 6.1.ისტორია და არქეოლოგია; 2018-2022 წწ.
6. **„აჭარულ და ტაო-კლარჯულ კილოთა სიტყვის კონა“ –** 6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი, 6.2ენები და ლიტერატურა; 2018- 2023 წწ.

2) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **ნოდარ კახიძე** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) - პროექტის ხელმძღვანელი, მკვლევარი
   როინ მალაყმაძე (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) - მკვლევარი
   თამილა ლომთათიძე (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი) - მკვლევარი
   ნაილა ჩელებაძე (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი) - მკვლევარი
   ჯემალ ვარშალომიძე (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი)- მკვლევარი
   რუსლან ბარამიძე (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი) - მკვლევარი
   ჯემალ მიქელაძე (მეცნიერი თანამშრომელი) - მკვლევარი

2. **ნუგზარ ჩხაიძე** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი) - პროექტის ხელმძღვანელი, მკვლევარი

3. **ოლეგ ჯიბაშვილი** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი)- პროექტის ხელმძღვანელი, მკვლევარი

4. **უჩა ოქროპირიძე** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) - პროექტის ხელმძღვანელი, მკვლევარი
   ოთარ თურმანიძე (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) - მკვლევარი
   მერაბ მეგრელიშვილი (მეცნიერი თანამშრომელი) - მკვლევარი

5. **გიორგი თავამაიშვილი** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) - პროექტის ხელმძღვანელი, მკვლევარი
   ნინო ინაიშვილი (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) - მკვლევარი

მაია ჭიჭილეიშვილი (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი) - მკვლევარი
ირინე ვარშალომიძე (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი) - მკვლევარი
მერაბ მეგრელიშვილი (მეცნიერი თანამშრომელი) - მკვლევარი
სულხან მამულაძე (მეცნიერი თანამშრომელი) - მკვლევარი

6. **ელზა ფუტკარაძე** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) - პროექტის ხელმძღვანელი, მკვლევარი
ნანული ნოღაიდელი (მეცნიერი თანამშრომელი) - მკვლევარი
ციალა ნარაკიძე (მეცნიერი თანამშრომელი) - მკვლევარი
ნარგიზ ახვლედიანი (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) - მკვლევარი
ნაილე მიქელაძე (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) - მკვლევარი

2. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექ-ტების შესრულების შედეგები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. **„ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფონდებში დაცული ეთნოგრაფიული მასალების (საექსპედიციო დღიურები, ვიზუალური მასალა) თემატური დამუშავება, გამოსაცემად მომზადება და გამოცემა“** –5. სოციალური მეცნიერებანი 5.1. ეთნოლოგია; 2018- 2022 წწ.

2. **„ქ.ბათუმის სხვადასხვა სოციალური ჯგუფის სოციოლოგიური კვლევა (რესპოდენტთა სოციოლოგიური გამოკითხვის მასალების მიხედვით)“** – 5. სოციალური მეცნიერებანი. 5.1.სოციოლოგია; 2018- 2022 წწ.

3. **„ბათუმი XIX საუკუნის 30-40-იან წლებში“** – 6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი, 6.1. ისტორია და არქეოლოგია; 2022 წ.

4. **„ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში XV-XX ს-ის 90-იან წწ.“** – 6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი, 6.1. ისტორია და არქეოლოგია; 2018-2022 წწ.

5. **„ციხისძირის კომპლექსური არქეოლოგიური ძეგლი (ისტორიულ–არქეოლოგიური კვლევა)“** – 6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი, 6.1.ისტორია და არქეოლოგია; 2018-2022 წწ.

6. **„აჭარულ და ტაო-კლარჯულ კილოთა სიტყვის კონა“ –** 6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი, 6.2.ენები და ლიტერატურა; 2018- 2023 წწ.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **ნოდარ კახიძე** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) - პროექტის ხელმძღვანელი, მკვლევარი
როინ მალაყმაძე (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) - მკვლევარი
თამილა ლომთათიძე (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი) - მკვლევარი
ნაილა ჩელებაძე (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი) - მკვლევარი
ჯემალ ვარშალომიძე (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი)- მკვლევარი
რუსლან ბარამიძე (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი) - მკვლევარი
ჯემალ მიქელაძე (მეცნიერი თანამშრომელი) - მკვლევარი

2. **ნუგზარ ჩხაიძე** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი) - პროექტის ხელმძღვანელი, მკვლევარი

3. **უჩა ოქროპირიძე** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) - პროექტის ხელმძღვანელი, მკვლევარი
   ოთარ თურმანიძე (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) - მკვლევარი
   მერაბ მეგრელიშვილი (მეცნიერი თანამშრომელი) - მკვლევარი

4. **გიორგი თავამაიშვილი** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) - პროექტის ხელმძღვანელი, მკვლევარი
   ნინო ინაიშვილი (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) - მკვლევარი
   მაია ჭიჭილეიშვილი (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი) - მკვლევარი
   ირინე ვარშალომიძე (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი) - მკვლევარი
   მერაბ მეგრელიშვილი (მეცნიერი თანამშრომელი) - მკვლევარი
   სულხან მამულაძე (მეცნიერი თანამშრომელი) - მკვლევარი

5. **ელზა ფუტკარაძე** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) - პროექტის ხელმძღვანელი, მკვლევარი
   ნანული ნოღაიდელი (მეცნიერი თანამშრომელი) - მკვლევარი
   ციალა ნარაკიძე (მეცნიერი თანამშრომელი) - მკვლევარი
   ნარგიზ ახვლედიანი (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) - მკვლევარი
   ნაილე მიქელაძე (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) - მკვლევარი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. **„ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფონდებში დაცული ეთნოგრაფიული მასალების (საექსპედიციო დღიურები, ვიზუალური მასალა) თემატური დამუშავება, გამოსაცემად მომზადება და გამოცემა“**

2022 წელს განხორციელდა პროექტის მეხუთე ეტაპის სამუშაოები, კერძოდ, მატერიალურ და სულიერ კულტურასთან დაკავშირებული საექსპედიციო მასალების შესწავლა, რომლებიც შეკრებილია 1958-1984 წლებში და ინახება ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოგრაფიულ ფონდებში. მოხდა ეთნოგრაფიული მასალის თემატური დამუშავება წლების მიხედვით, მასალების სისტემატიზაცია, გამოვლინდა მეტად საინტერესო მასალა აჭარაში საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, ხალხური ტრანსპორტის, ტანსაცმლისა და ჩაცმულობის, დეკორატიული ხელოვნების, ხალხური დღესასწაულების, ხალხური სამზარეულოს ტრადიციების, რწმენა-წარმოდგენებისა და წეს-ჩვეულებების შესახებ. მომზადდა საილუსტრაციო მასალები. მომზადებული მასალების საფუძველზე გამოიცემა პროექტის მეხუთე ტომი.

2. **„ქ. ბათუმის სხვადასხვა სოციალური ჯგუფის სოციოლოგიური კვლევა“ (რესპოდენტთა სოციოლოგიური გამოკითხვის მასალების მიხედვით)**

2022 წელს შესრულდა ხუთწლიანი პროექტის ბოლო თემა: „ძველი ბათუმის მცხოვრებთა თვალსაზრისი ქალაქის არსებული არქიტექტურული იერსახის და მისი ურბანული განვითარების პერსპექტივებზე“. ქალაქი, როგორც ურბანული განაშენიანების ერთეული, მრავალი პარამეტრით შეიძლება შეფასდეს, მთ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია მისი არქიტექტურული იერსახე. ქალაქის არქიტექტურა, მისი კონკრეტული შემადგენელი კომპონენტები, პირდაპირ თუ ირიბად, გავლენას ახდენენ ქალაქის მცხოვრებთა ყოფა-ცხოვრებაზე. ჩვენი სოციოლოგიური კვლევის მიზანი იყო ძირძველი ბათუმელების ანკეტური გამოკითხვის საფუძველზე დაგვედგინა მათი აზრი ქალაქის ძველ უბნებში მიმდინარე მშენებლობების მიზანშეწონილობის თაობაზე, ისტორიული ბათუმის მცხოვრებთა თვალსაზ-რისი ქალაქის ცენტრალური ზონის იერსახის ცვლილების ავკარგიანობის შესახებ. ქ.ბათუმის

ცენტრალური ნაწილის იმ ურბანულ-არქიტექტურული პერსპექტივების გამოვლენა, რომლებსაც პრიორიტეტს ანიჭებენ ძველი ბათუმის მცხოვრებლები. როგორც კვლევამ გვიჩვენა, ბათუმელების ყველაზე დიდ გულისწყრომას იწვევს ქალაქის ისტორიულ უბნებში კულტურულ-ისტორიული ფასეულობების მქონე ნაგებობების ნგრევა და მათ ადგილას უსახური საცხოვრებელი კორპუსების და სხვა დანიშნულების, ზოგჯერ ესთეტიკურად უგემოვნო ობიექტების აშენება. ჩვენი ვარაუდით, რესპოდენტთა თვალსაზრისების გათვალისწინება გახდება იმის საწინდარი, რომ შეიცვლება ქ.ბათუმში მიმდინარე სამშენებლო პოლიტიკა და ის ქალაქებისათვის სასურველ კალაპოტში მოექცევა.

3. „ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში XV-XX ს-ის 90-იან წწ.“

ა) უჩა ოქროპირიძე

2022 წლის ეტაპი - **„სამხრეთ-დასავლეთ საქართველო „იმედის“ არჩევნებიდან უიმედო არჩევანამდე (19992. 11. 10 – 1994. 01. 03)“**

ნაშრომი მოიცავს პერიოდს შევარდნაძის მარიონეტული რეჟიმის ე.წ. არჩევნების გზით დამყარების მცდელობიდან საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ) შესვლამდე. მასში გაანალიზებულია ე.შევარდნაძის მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკა, რომლის შედეგადაც საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში აღმოჩნდა გაერთიანებული, რაც უარყოფითად აისახა მის მდგომარეობაზე. გახსნილია შევარდნაძის მოღალატური რეჟიმის ქმედებათა გამყიდველური საქმიანობის შინაარსი, მისი ხასიათი და მიზნები.

მიმდინარე (2022 წ.) და წინა წლების (2018-2021 წწ.) ეტაპების ნაშრომების საფუძველზე მომზადდა მონოგრაფია „ქართული ეროვნული მოძრაობა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (აჭარა) 1950-დან 1990-იანი წლების პირველ ნახევარში“, რომელშიც გაშუქებულია ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აღნიშნულ წლებში და მის ფონზე აჭარაში განვითარებული პროცესები.

ბ) ოთარ თურმანიძე

2022 წლის ეტაპი - **„პოლიტიკური რეპრესიები და მოსახლეობის დეპორტაცია აჭარიდან 1941-1952 წლებში“**

აღნიშნულ ეტაპზე შეიქმნა შედარებით სრულყოფილი მეცნიერული ნაშრომი აჭარაში 1941-1952 წლების პოლიტიკური რეპრესიებისა და მოსახლეობის დეპორტაციის შესახებ. ნაშრომში განხილულია აღნიშნული წლების რეპრესიების მოტივაცია, ფორმები და მეთოდები უდანაშაულო ადამიანების ტანჯვა-წამების შესახებ. აჭარაში 1941-1952 წლებში პოლიტიკური რეპრესიები და მოსახლეობის დეპორტაცია სამ ეტაპად განხორციელდა. პირველი ეტაპი, რომელიც 1941-1945 წლებს მოიცავს ძირითადად შეეხო ქურთებსა და ჰემშილებს, ქართველი მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც საბჭოთა რეჟიმის მიერ სახელმწიფო საფრთხედ მოიაზრებოდა.

მეორე ეტაპზე (1946-1950 წლები) აჭარიდან გაასახლეს ირანელები, თურქები და ბერძნები, ის ქართული ოჯახები, სადაც ლაზები და თურქი ეროვნების ქალები იყვნენ გათხოვილები, აგრეთვე, მეორე მსოფლიო ომის დროს ტყვეობაში მყოფი საბჭოთა მეომრები და 1937-1938 წლებში რეპრესირებული ადამიანები, რომლებიც, გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, მეორეჯერ უვადოდ გაასახლეს რუსეთის უკაცრიელ ადგილებში.

პოლიტიკური რეპრესიებისა და მოსახლეობის დეპორტაციის მესამე ეტაპი 1951 წელს განხორციელდა. იგი შეეხო აჭარაში მომუშავე მეგრული წარმომავლობის პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, მოსახლეობის იმ ნაწილს,

რომლებსაც საზღვარგარეთის კაპიტალისტურ ქვეყნებში, ძირითადად თურქეთში ჰყავდათ ოჯახის წევრები და ნათესავები. ცხადია, 1951 წლის რეპრესიები იყო დიდი ეროვნული ტკივილი ქართველი ხალხისათვის. ნაშრომს აქვს საგანმანათლებლო-შემეცნებითი და პრაქტიკულ-გამოყენებითი მნიშვნელობა.

გ) მერაბ მეგრელიშვილი

2022 წლის ეტაპი - **„ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის საკითხები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში XX საუკუნის 20-იან წლებში“**

ბათუმის სამხედრო ოლქის გუბერნატორის საიდუმლო ფონდში დაცული საარქივო მასალის აღწერა-შესწავლის, განზოგადების, შედარების მეთოდის გამოყენების და თანმიმდევრობის პრინციპის დაცვის საფუძველზე წლიურ ნაშრომში წარმოჩენილია XX საუკუნის ოციან წლებში გურია-აჭარაში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის საკითხები, მტკიცებულებებზე დაყრდნობით დადგენილია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხასიათი.

XX საუკუნის ოციან წლებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლობის პერიოდში კიდევ უფრო გაძლიერდა ანტირუსული მოძრაობა. 1919 წელს გურიაში მოქმედმა ქართველ მაჰმადიანთა განმათავისუფლებელმა კომიტეტმა დიდი მუშაობა გასწია რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ ქრისტიან და მუსლიმან ქართველთა გასაერთიანებლად. ოზურგეთის სამაზრო ერობასთან დაფუძნდა ქართველ მეომართა დამხმარე კომიტეტი. ასეთივე კომიტეტები დაარსდა გურიის ყველა სოფელში. 1918 წლის 28 თებერვალს ბათუმის თვითმმართველობის სხდომაზე დააფუძნეს გაზეთი „თავისუფლების დღე“.

დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით, ნაშრომში გაანალიზებულია, აგრეთვე, XX საუკუნის 10-იან წლებში მიმდინარე პროცესები.

4. „ციხისძირის კომპლექსური არქეოლოგიური ძეგლი (ისტორიულ–არქეოლოგიური კვლევა)“

ა) გიორგი თავამაიშვილი

2022 წლის ეტაპი - **„ციხისძირის გვიანი შუასაუკუნეების მასობრივი არქეოლოგიური მონაპოვარი (კერამიკა, ჩიბუხები და სხვ.)“**

ციხისძირის გვიანი შუასაუკუნეების არქეოლოგიური მონაპოვრების დამუშავებისას მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მასობრივი ხასიათის არქეოლოგიური მასალის წარმოჩენა. ამ კუთხით ნაშრომში გამორჩეული ადგილი დაეთმო გვიანი-შუა საუკუნეების თამბაქოს მოსაწევი თიხის ჩიბუხებს. ამ ტიპის მასალის უკეთ შესწავლის თვალსაზრისით მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მათი დაჯგუფება კეცის ფერის მიხედვით. გამოვყავით ტიპიური ფორმები და მოვახდინეთ მათი ქრონოლოგიურ კლასიფიცირება.

ციხისძირის ისტორია შეივსო გვიანი შუასაუკუნეების მასობრივი ხასიათის არქეოლოგიური მასალით, რომლის დეტალური ანალიზი ისტორულ კონტექსტში უფრო კარგად წარმოაჩენს გვიანი შუასაუკუნეების ციხისძირში მცხოვრებთა (მეტწილად, მეციხოვნეთა) ყოფით საკითხებს.

ბ) ნინო ინაიშვილი

2022 წლის ეტაპი - **„ადრეშუასაუკუნეების მასობრივი არქეოლოგიური მონაპოვარი (კერამიკა, მინისა და რკინის ნაწარმი)“**

2022 წლის ნაშრომში განხილულია ციხისძირის ციხისა და ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მასობრივი არქეოლოგიური მასალა (კერამიკა, მინა, რკინის ნივთები).

დათარიღებისათვის. აღსანიშნავია, რომ ამ რიგის მასალები არქეოლოგიურ ფენებში წარმოდგენილია ფრაგმენტების სახით, რაც ართულებს მათ განსაზღვრა-შესწავლას. ნაშრომში მოცემულია როგორც კერამიკული მასალის, ისე მინის ნაწარმისა და რკინის ნივთების ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური კლასიფიკაცია. მათი დათარიღება ძირითადად ეყრდნობა აღმოჩენის ადგილის ვითარებასა და კონტექტს, ასევე გათვალისწინებულია ზოგადად შავიზღვისპირეთში გავრცელებული და სხვადასხვა მეცნიერთა მიერ გამოქვეყნებული მსგავსი მასალების ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიურ კლასიფიკაცია.

პეტრა-ციხისძირის მასობრივი არქეოლოგიური არტეფაქტების შესწავლას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც პეტრა-ციხისძირის ისტორიის კვლევისთვის, ასევე ზოგადად, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლისთვისაც, ვინაიდან პეტრა-ციხისძირის მონაცემები მეტ-ნაკლებად მყარ ქრონოლოგიურ საყრდენს იძლევა სხვა ძეგლებზე აღმოჩენილი მსგავსი მასალებისა და მათი შემცველი არქეოლოგიური ფენების დათარიღებისათვის, ასევე აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის გარე სამყაროსთან პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური თუ კულტურული ურთიერთობების შესწავლის თვალსაზრისით.

გ) მაია ჭიჭილეიშვილი

2022 წლის ეტაპი - **„ციხისძირის მოზაიკა“**

ციხისძირის მოზაიკა გათხრების მასალების, სამეცნიერო მონაცემების შეჯერების შედეგად გამოვლინდა, რომ ციხისძირის მოზაიკის ფრაგმენტი ვაზის გამოსახულების სიმბოლური მნიშვნელობითა და სტილისტური თავისებურებებით ანალოგიას ადრექრისტიანული პერიოდის საქართველოში გამოვლენილ ბიჭვინთის მოზაიკასთან იჩენს. ციხისძირის მოზაიკის სავარაუდო თარიღი განისაზღვრება VI საუკუნით. ვინაიდან 2022 წელს მოზაიკის დაფლული ფრაგმენტის გახსნა, მიწიდან ამოღება და სამუზეუმო მიზნით მისი რესტავრაცია არ მოხერხდა, მოკლებული ვართ დეტალურად ვიმსჯელოთ საეკლესიო სივრცეში მოზაიკის ადგილმდებარეობისა და იდეური და მხატვრულ-სტილისტური თავისებურებებისშესახებ.

დ) ირინე ვარშალომიძე

2022 წლის ეტაპი - **„XIII-XVIII საუკუნეების მონეტები ციხისძირიდან“**

ნაშრომში შესწავლილია შუა საუკუნეების ციხისძირის ნუმიზმატიკური მასალა. რომლებიც დაცულია ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმში. მოცემულია მონეტების კატალოგი, განსაზღვრულია ემისიის წლები, ზარაფხანები. ახსნილია მონეტების აქ გამოვლენის ისტორიული მიზეზები.

ციხისძირის შუა საუკუნეების ნუმიზმატიკურ მასალას შორის ყველაზე მნიშვნელოვანია მუზეუმში დაცული, შემთხვევით აღმოჩენილი თამარ მეფის სახელით მოჭრილი სპილენძის 2 მონეტა, რომლებიც შეძენილია მოქალაქე პ. ვარძიელისაგან. ორივე მონეტა ერთი ტიპისაა, მათზე თამარისა და დავითის სახელები იკითხება. რადგანაც ანალოგიური მასალა დიდი რაოდენობითა საქართველოში მოპოვებული, მაგრამ მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ეს არის თამარის, და, ზოგადად, შუა საუკუნეების ქართული საფასეების გამოვლენის პირველი შემთხვევა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილ XIII-XV სს-ის მონეტათა შორის მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი ტრაპიზონის ასპრები (XIII ს.) და მისი დასავლურ-ქართული მინაბაძი, კირმანეული თეთრი – სულ 13 ცალი. მათგან 11 ინახება ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში. ისინი შემთხვევითაა ნაპოვნი ქ. ქობულეთში ადგილობრივი მცხოვრებლების მიერ. 1954 წელს ქობულეთის რაიონის სოფ. ციხისძირში აღმოჩენილია ერთი კირმანეული (XIII-XV სს.), რომელიც შეიძინა მოსკოვის ისტორიულმა მუზეუმმა. კირმანეული

თეთრი 2016 წელს გამოვლინდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავში, ნაეკლესიარის გათხრებისას.

XIII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში შემოდის და ფართოდ მიმოიქცევა ტრაპიზონის ასპრები. ტრაპიზონის იმპერიას და საქართველოს საერთო პოლიტიკური ინტერესები ჰქონდათ. ტრაპიზონის იმპერია ხელსაყრელ ადგილას მდებარეობდა. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა წინა აზიის ვაჭრობაში. შესაბამისად მათი მონეტებიც ინტერლოკალურ საფასეებად იქცა. დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში ძირითადად ბრუნავდა იოანე I (12235-38 წწ.), მანუელ I (1238-63 წწ.) და იოანე II (1280-97 წწ.) ასპრები. ტრაპიზონის ასპრის ქართული მინაბაძი კირმანეული იჭრებოდა XVI საუკუნემდე. კირმანეულის ემიტენტი ცნობილი არ არის. არც მისი იურიდიული სტატუსი.

ქრონოლოგიურად ყველაზე გვიანდელია თურქული პიასტრი, მოჭრილი ჰიჯრით 1293 (1883) წელს. თურქული მონეტების გამოვლენა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში არანაირ განსაკუთრებულ კომენტარს არ საჭიროებს, რადგან ამ დროისათვის რეგიონი ოსმალეთის შემადგენლობაში შედიოდა. პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, სამონეტო მიმოქცევაში დომინირებდა სწორედ ოსმალური საფასეები.

ციხისძირის ნუმიზმატიკურმა მასალამ, როგორც ნივთიერმა საისტორიო წყარომ, კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ციხისძირი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მეტად მნიშვნელოვანი სტრატეგიული ადგილია. დაწინაურებულია ადგილობრივი მოსახლეობა, განვითარებულია სასაქონლო მეურნეობა და აღებ-მიცემობა. ფულადი მეურნეობა განვითარებული ჩანს ძვ. წ. V საუკუნიდან. იგი ერთ-ერთი პუნქტია, სადაც ჩაისახა და განვითარდა ფულადი მიმოქცევა. ეკონომიკური კავშირები არსებობს ანტიკურ სამყაროსთან. ამ პერიოდიდან მოკიდებული უწყვეტად გვაქვს ყველა პერიოდის ნუმიზმატიკური მასალა განვითარებული შუა საუკუნეების ჩათვლით. მონეტების შესწავლამ გვიჩვენა, რომ საკვლევ ტერიტორიაზე შუა საუკუნეებში მიმოიქცეოდა ბიზანტიური, სელჩუკური, ტრაპიზონის ასპრები, კირმანეული თეთრები და ქართული ფულიც. ციხისძირის მონაპოვარმა მნიშვნელოვანი სიახლეები შეიტანა არა მარტო რეგიონის, არამედ საქართველოს სამონეტო მიმოქცევის კვლევაში.

ე) სულხან მამულაძე

2022 წლის ეტაპი - **„პეტრა-ციხისძირის ტერიტორიაზე მოპოვებული ბიზანტიური პერიოდის უახლესი არქეოლოგიური მასალების დამუშავება-ანალიზი“**

პეტრა-ციხისძირი გონიო-აფსაროსის ერთგვარ ქრონოლოგიურ გაგრძელებას და ბიზანტიელთა სტრატეგიული ინტერესების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენდა. იმპორტული კერამიკა, სირიულ-პალესტინური მინის ნაწარმი, ნუმიზმატიკური მასალები, მცირე აზიის პროვინციებთან ფართო სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ კონტაქტებზე მიუთითებენ.

მიმდინარე სამუშო წელს მოხდა პეტრა-ციხისძირის ტერიტორიაზე მოპოვებული ბიზანტიური პერიოდის არქეოლოგიური მასალის დამუშავება-ანალიზი და მათი შეჯერება ისტორიულ წყაროებთან. შესწავლილი წყაროებისა და არსებული არქეოლოგიური მასალის ანალიზის საფუძველზე მოხდა პეტრა-ციხისძირის ტერიტორიაზე განლაგებული გარნიზონების მომარაგების პრობლემის შესწავლა, მათ შორის მომარაგების ძირითადი (მცირე აზიური) ცენტრების იდენტიფიცირება, მომარაგების სპეციფიკის, ინტენსივობის და სხვა საკითხთა განსაზღვრა.

გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ მასალის ანალიზის საფუძველზე მომზადდა პეტრა-ციხისძირის მომარაგების სისტემის გრაფიკული რეკონსტრუქციაც.

5. **„აჭარულ და ტაო-კლარჯულ კილოთა სიტყვის კონა“**

როგორც ცნობილია, ენათმეცნიერული თვალსაზრისით საინტერესო ლინგვისტურ სურათს გვიჩვენებს სამხრულ-დასავლური დიალექტები. ამ კილოთა სიტყვიერი მასალის შესწავლა მრავალმხრივ მნიშვნელოვანი და აქტუალურია. კვლევის მიზანია დიალექტის ლექსიკონის მომზადება. ამ მიმართებით გვაქვს შ. ნიჟარაძის ლექსიკონი, ასევე, არის სხვადასხვა სალექსიკონო მასალები. თუმცა აღნიშნული სრულად ვერ ასახავს დიალექტის ლექსიკურ მარაგს.ჩვენ მიერ მომზადებულ ლექსიკონში, ბუნებრივია, აღნიშნული მასალებიც შევა. გარდა ამისა, ლექსიკონში აისახება ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის, აარ. ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდებში დაცული და ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა მრავალწლიანი სამეცნიერო საქმიანობის შედეგად მოძიებული სალექსიკონო მასალა. შესაბამისად, მომზადდება დიალექტისმეტნაკლებად სრულყოფილილექსიკონი.

მიმდინარე წელს, დასრულდა განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელთა მიერ მოძიებული და ბარათებზე გადატანილი ლექსიკური ერთეულების შედარება ქართული სალიტერატურო ენის დიალექტების ლექსიკონებთან. აღნიშნულ საქმიანობაში ჩართული იყო განყოფილების ყველა მეცნიერ-თანამშრომელი (ე. ფუტკარაძე, ნ.ნოღაიდელი, ც. ნარაკიძე, ნ.ახვლედიანი, ნ. მიქელაძე, ც. ბერიძე). ანბანთრიგზე დალაგებული სალექსიკონო მასალა დაბეჭდილია - 1200 გვერდი გრძელდება ლექსიკონის რედაქტირება, ჩასწორება-კორექტირება და გამოსაცემად მომზადება.

პროექტით გათვალისწინებული კვლევის მიმდინარე ეტაპზე, მოძიებული მასალა საინტერესოა ლექსიკოლოგიური თუ დიალექტოლოგიური კუთხით. გამოვლინდა არქაული ლექსიკური ერთეულები, საერთო ქართველური ლექსემები. განსაკუთრებით საინტერესოა საკუთრივ ლექსიკური დიალექტიზმები. ასევე, ხატოვანი სიტყვა-თქმები. კვლევას აქვს თეორიულ-პრაქტიკული ღირებულება. დიალექტის ლექსიკის საფუძვლიანი შესწავლა გარკვეულ წვლილს შეიტანს ზოგადი ენათმეცნიერების განვითარებაში. საბოლოოდ კი, გამოიცემა დიალექტის მეტნაკლებად სრულყოფილი ლექსიკონი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ აღნიშნული კუთხით კვლევა შემოგვინახავს დიალექტის ლექსიკურ სახეს. წარმოდგენილი სალექსიკონო მასალა მრავალმხრივ საყურადღებოა. მასალას გამოიყენებენ ისტორიკოსები, არქეოლოგები, ეთნოლოგები, ხელოვნებათმცოდნეები, ენათმეცნიერები. ასევე, გზამკვლევი იქნება სტუდენტებისა და საკითხით დაინტერესებული საზოგადოებისათვის.

ლომთ

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. **„ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფონდებში დაცული ეთნოგრაფიული მასალების (საექსპედიციო დღიურები, ვიზუალური მასალა) თემატური დამუშავება, გამოსაცემად მომზადება და გამოცემა“** –5. სოციალური მეცნიერებანი 5.1. ეთნოლოგია; 2018- 2022 წწ.

2. **„ქ.ბათუმის სხვადასხვა სოციალური ჯგუფის სოციოლოგიური კვლევა (რესპოდენტთა სოციოლოგიური გამოკითხვის მასალების მიხედვით)“** – 5. სოციალური მეცნიერებანი. 5.1. სოციოლოგია; 2018- 2022 წწ.

3. **„ბათუმი XIX საუკუნის 30-40-იან წლებში“** – 6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი, 6.1. ისტორია და არქეოლოგია; 2022 წ.

4. **„ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში XV-XX ს-ის 90-იან წწ.“** – 6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი, 6.1. ისტორია და არქეოლოგია; 2018-2022 წწ.

5. **„ციხისძირის კომპლექსური არქეოლოგიური ძეგლი (ისტორიულ–არქეოლოგიური კვლევა)“** – 6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი, 6.1.ისტორია და არქეოლოგია; 2018-2022 წწ.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **ნოდარ კახიძე** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) - პროექტის ხელმძღვანელი, მკვლევარი
   როინ მალაყმაძე (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) - მკვლევარი
   თამილა ლომთათიძე (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი) - მკვლევარი
   ნაილა ჩელებაძე (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი) - მკვლევარი
   ჯემალ ვარშალომიძე (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი)- მკვლევარი
   რუსლან ბარამიძე (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი) - მკვლევარი
   ჯემალ მიქელაძე (მეცნიერი თანამშრომელი) - მკვლევარი

2. **ნუგზარ ჩხაიძე** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი) - პროექტის ხელმძღვანელი, მკვლევარი

3. **ოლეგ ჯიბაშვილი** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი)- პროექტის ხელმძღვანელი, მკვლევარი

4. **უჩა ოქროპირიძე** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) - პროექტის ხელმძღვანელი, მკვლევარი
   ოთარ თურმანიძე (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) - მკვლევარი
   მერაბ მეგრელიშვილი (მეცნიერი თანამშრომელი) - მკვლევარი

5. **გიორგი თავამაიშვილი** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) - პროექტის ხელმძღვანელი, მკვლევარი
   ნინო ინაიშვილი (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) - მკვლევარი
   მაია ჭიჭილეიშვილი (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი) - მკვლევარი
   ირინე ვარშალომიძე (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი) - მკვლევარი
   მერაბ მეგრელიშვილი (მეცნიერი თანამშრომელი) - მკვლევარი
   სულხან მამულაძე (მეცნიერი თანამშრომელი) - მკვლევარი

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. **„ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფონდებში დაცული ეთნოგრაფიული მასალების (საექსპედიციო დღიურები, ვიზუალური მასალა) თემატური დამუშავება, გამოსაცემად მომზადება და გამოცემა“**

ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე, ინსტიტუტში განხორციელებული ეთნოგრაფიული ექსპედიციების დროს, რომლებიც ჩატარდა აჭარასა და საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რაიონებში (სამცხე-ჯავახეთი, გურია, სამეგრელო, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი) შეკრებილი იქნა დიდძალი ეთნოგრაფიული მასალა ყოფისა და კულტურის სხვადასხვა საკითხებზე (მეურნეობის ტრადიციული დარგები და სამეურნეო ყოფა, მატერიალური და სულიერი კულტურა, საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფა, მიგრაციული პროცესები და ა.შ.). სამეცნიერო კვლევითი პროექტის ფარგლებში პირველად განხორციელდა ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფონდებში დაცული საექსპედიციო ეთნოგრაფიული მასალების (ეთნოგრაფიული დღიურები) მეცნიერული დამუშავება და ცალკე წიგნების სახით მომზადება და გამოცემა.

2018 წელს საექსპედიციო დღიურებიდან ამოკრებილი და კლასიფიცირებული იქნა, დამუშავდა და გამოსაცემად მომზადდა მიწათმოქმედებასთან (მემინდვრეობა) და მეურნეობის ტრადიციულ დარგებთან დაკავშირებული მონაცემები და სამეურნეო ყოფის ამსახველი მასალები; 2019 წელს ამავე წესით დამუშავდება მევენახეობა-მეღვინეობის და მეხილეობის საკითხები; 2020 წელს - ხელოსნობასა და შინამრეწველობასთან დაკავშირებული მასალები, 2021

წელს - მესაქონლეობასთან, ხოლო 2022 წელს - მატერიალურ და სულიერ კულტურასთან დაკავშირებული საკითხები. თითოეულ თემაზე მომზადდა კომენტარები და საძიებლები (საგნობრივი, გეოგრაფიული) და შესაბამისი ლექსიკონი, რაც საშუალებას მისცემს დაინტერესებულ მკითხველს ადვილად მოიძიოს მათთვის სასურველი ინფორმაცია ამა თუ იმ საკითხზე, აგრეთვე ილუსტრაციები. ამ გამოცემებით სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიდა სრულიად ახალი საველე-ეთნოგრაფიული მასალა, რაც მას ადვილად ხელმისაწვდომს გახდის სამეცნიერო საზოგადოებისათვის და ამავე დროს, იქნება მნიშვნელოვანი წყაროთმცოდნეობითი ბაზა შესაბამისი სპეციალობის მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის.

2. „ქ. ბათუმის სხვადასხვა სოციალური ჯგუფის სოციოლოგიური კვლევა“ (რესპოდენტთა სოციოლოგიური გამოკითხვის მასალების მიხედვით)

5 წლიანი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის თემატიკა – „ქ. ბათუმის სხვადასხვა სოციალური ჯგუფის სოციოლოგიური კვლევა“ (რესპოდენტთა სოციოლოგიური გამოკითხვის მასალების მიხედვით) – ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან იმ პრობლემების გადაჭრას უნდა შეუწყოს ხელი, რომლებიც აფერხებენ ქ. ბათუმის მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ნორმალურ ყოფა-ცხოვრებას.

სოციოლოგიური კვლევის უმთავრეს სიახლედ უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ დიფერენცირებულად იქნა შესწავლილი ქ.ბათუმის მოსახლეობის ცალკეული სოციალური სეგმენტები, და რამაც საშუალება მოგვცა ქ.ბათუმის ცალკეული სოციალური ჯგუფების წინაშე მდგარი ცხოვრებისეული პრობლემები სიღრმისეულად შეგვესწავლა და დაგვესახა მათი გადაჭრის გზები. იმაზე რომ საკვლევი თემატიკა აქტუალურია, შესასწავლი საკითხების მრავალფეროვნებაც მეტყველებს: ქ.ბათუმის სკოლების მასწავლებელთა მიერ საგანმანათლებლო პროცესის შეფასება (2018); ქ.ბათუმის საწარმოებში დასაქმებულ ქალთა შრომის სოციალური ასპექტები (2019); ქ.ბათუმში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შ.შ.მ.) პირთა ცხოვრების პირობების და საქმიანობის სოციოლოგიური შესწავლა (2020);ქ.ბათუმში მცხოვრები, უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდების უმუშევრობის ძირითადი მიზეზები და მათი გადაჭრის გზები (2021); ძველი ბათუმის მცხოვრებთა თვალსაზრისი ქალაქის არსებული არქიტექტურული იერსახის და მისი ურბანული განვითარებისპერსპექტივებზე (2022). სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგად მიღებული სტატისტიკური მონაცემები დამუშავდა სოციოლოგიური კვლევის თანამედროვე მეთოდების (სოციომეტრიული, საველე და ა.შ.) გამოყენებით, რამაც უზრუნველყო სოციოლოგიური კვლევის მაღალ დონეზე წარმართვა და სანდო შედეგების მიღება.

ქ.ბათუმის მოსახლეობის, სხვადასხვა სოციალური ჯგუფის სოციოლოგიური გამოკითხვის საფუძველზე გამოვავლინეთ ის სიძნელეები, რომლებიც ხელს უშლიან ამ ჯგუფების წევრებს მათი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნილებების რეალიზებაში. კვლევის მასალების საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც წარედგინა იმ სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებს, რომლებსაც სოციოლოგიური კვლევის შედეგად, მოსახლეობის მიერ წარმოჩენილი პრობლემების გადაჭრა ან შემსუბუქება (მაგ. შ.შ.მ პირებთან დაკავშირებით) შეუძლიათ. კვლევის შედეგების პოპულარიზაციის მიზნით მომზადდება სტატიები ჟურნალ-გაზეთებისთვის, ყოველ წელს ხდებოდა მისი შედეგების გაცნობა და განხილვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და პირებთან ერთად, ასევე, სოციოლოგიური კვლევის რეზულტატების გაცნობა მოსახლეობისათვის ინტერნეტ-სივრცისა და ტელევიზიის საშუალებით.

3. „ბათუმი XIX საუკუნის 30-40-იან წლებში“

ინგლისის ვიცე-კონსულების ანგარიშებისა და სხვა დოკუმენტური წყაროების, აგრეთვე, სამეცნიერო ლიტერატურის მასალების გამოყენებით ნაშრომში გაშუქებულია XIX საუკუნის 30-40-იანი წლების ბათუმთან დაკავშირებული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური საკითხები.

XIX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისისათვის ბათუმი უფრო სოფლურ, პატარა დასახლებას წარმოადგენდა რამდენიმე უსწორმასწორო ქუჩით, უწესრიგოდ გაფანტული სახლებითა და 2000-მდე მცხოვრებით. ბაზარში, სადაც თავს იყრიდნენ მეზობელი რეგიონებიდან ჩამოსული ქართველებიც, ვაჭრობდნენ მხოლოდ იაფფასიანი საქონლით. ჭაობებით გამოწვეული აუტანელი

ჰავისა და მალარიის გამო, ბათუმის მოსახლეობა (ძირითადად, ქართველობა) იძულებული იყო ზაფხულობით დაეტოვებინა თავისი საცხოვრისი და უსაფრთხო ადგილას გადასულიყო. ბათუმის მთავარი ღირსება იყო ქარებისგან ბუნებრივად დაცული და მოხერხებული ნავსადგური, სადაც უკვე წარმოებდა სავაჭრო გემების მიმოსვლა, თუმცა არა დიდი ინტენსივობით. ხელისუფლებას უკვე დაწყებული ჰქონდა პორტის მოდერნიზაცია და სოლიდური თანხებიც იყო ჩადებული ამ საქმეში. ეს პროცესი უკავშირდებოდა „თანზიმათის“ სახელით ცნობილ რეფორმაციულ პროცესებს, რაც ოსმალეთის ევროპეიზაციას ისახავდა მიზნად.

ქალაქი თანდათან მოექცა რუსეთისა და ევროპის წამყვანი ქვეყნების, განსაკუთრებით ინგლისის გეოპოლიტიკურ და სავაჭრო-ეკონომიკურ ინტერესებში. დიდი ბრიტანეთის ვიცე-კონსულების ანგარიშებში კარგად ჩანს ქალაქის ეტაპობრივი განვითარების სურათი მოცემულ წლებში. ამავე პერიოდში (XIX ს. 30-40-იანი წწ.) ბათუმის ცენტრმა მდ. ყოროლისწყლის შესართავიდან თანდათან გადაინაცვლა დასავლეთით – ბათუმის ყურის მიმართულებით, რაც საქალაქო ცხოვრებისა და საზღვაო ვაჭრობის შედარებით გამომცოცხლებას უკავშირდებოდა.

საერთაშორისო პოლიტიკურმა პროცესებმა ბათუმის, როგორც ორი იმპერიის საზღვარზე მდებარე ქალაქის მნიშვნელობის შესამჩნევი ზრდა გამოიწვია.

4. „ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში XV-XX ს-ის 90-იან წწ.“

დასრულდა 5-წლიანი პროექტი, რომელიც XV-XX ს-ის 90-იან წწ.-ში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გაშუქებას ისახავდა მიზნად. პროექტის თითოეული მონაწილე ინდივიდუალურად, განსაზღვრული ქრონოლოგიური ჩარჩოების ფარგლებში აწარმოებდა კვლევებს. საინტერესოა, რომ უახლესი ისტორიის ეტაპზე საკვლევ თემას იმდროინდელი პროცესების უშუალო მონაწილე (უ.ოქროპირიძე) შეისწავლიდა, რაც მეტ ინფორმაციულობასა და ანალიტიკურობას სძენს ნაშრომს.

წინა წლების შედეგები შესაბამის ანგარიშებშია სრულყოფილად წარმოდგენილი. კვლევების ცალკეული საკითხი სტატიების სახით უკვე გამოქვეყნდა. სხვადასხვა ეტაპზე განხორციელიბული კვლევების შედეგების გაერთიანების საფუძველზე, გათვალისწინებულია ცალკეული მკვლევარის მონოგრაფიული ნაშრომის გამოცემა. ეს, უდავოდ, გაამდიდრებს ქართულ ისტორიოგრაფიას და კარგ სამსახურს გაუწევს როგორც სპეციალისტებს, ისე შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტებსა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს.

5. „ციხისძირის კომპლექსური არქეოლოგიური ძეგლი (ისტორიულ–არქეოლოგიური კვლევა)“

2022 წელს დასრულდა 5-წლიანი პროექტის ბოლო ეტაპი

ადრე შუა საუკუნეების პეტრას ციხის ნანგრევები შემორჩენილია ზღვისპირას აღმართულ ბორცვზე. VI-IX სს. ბიზანტიური წყაროების (იუსტინიანეს ნოველები, პროკოპი კესარიელის თხზულებები, კონსტანტინეპოლის საეპისკოპოსო კათედრათა ნუსხები) პეტრას აკროპოლისის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილია ორ ბორცვზე განლაგებული, ერთმანეთთან ორმაგი კედლებით დაკავშირებული საფორტიფიკაციო ნაგებობები, იუსტინიანეს დროინდელი დიდი ზომის სამნავიანი ბაზილიკის ადგილზე აგებული, მცირე ზომის, ნახევარწრიული აბსიდის მქონე დარბაზული ეკლესია, ადრე ბიზანტიური ხანის აბანო, სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები და შესაბამისი ეპოქის არქეოლოგიური არტეფაქტები.

პეტრას ციხის ტერიტორიაზე საკმაოდ მძლავრადაა წარმოდგენილი ადრე შუა-საუკუნეების კულტურული ფენა. ამ პერიოდის მასალები ძირითადად აისახა წინა წლების ნაშრომებში. თუმცა, ამჯერად სათანადო ადგილი დავუთმეთ ციხისძირის გვიანი შუასაუკუნეების მასობრივი არქეოლოგიური მონაპოვარის (კერამიკა, მინისა და რკინის ნაწარმი) მიმოხილვასაც. აღნიშნული სახის მასალა საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი როგორც ციხის, ასევე მიმდებარე ტერიტორიაზე.

შემთხვევითი აღმოჩენების თუ არქეოლოგიური გათხრების შედეგად შესწავლილი ძეგლების ნაწილი გამოქვეყნებულია და შესულია სამეცნიერო მიმოქცევაში, ხოლო ნაწილი გამოქვეყნებულია მხოლოდ არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიშების სახით. ციხისძირის არქეოლოგიური ძეგლების შესახებ ერთიანი, განზოგადოებული და მრავალ-დისციპლინარული ნაშრომის – **„ციხისძირის კომპლექსური არქეოლოგიური ძეგლი (ისტორიულ-არქეოლოგიური კვლევა)“** – შექმნა აქტუალურია არა მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ისტორიული წარსულის კვლევის საქმეში, არამედ მნიშვნელოვანია, ასევე, საქართველოსა და, ზოგადად, შავიზღვისპირეთის ისტორიისა და არქეოლოგიის მრავალი პრობლემის შესწავლისთვის, როგორიცაა მაგალითად, შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია, რომის და ბიზანტიის ინტერესები შავიზღვისპირეთში და სხვ.

3. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

3.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით,პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. **„რა იგებს არჩევნებს საქართველოში“,** ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის 2018 წლის კონკურსში გამარჯვებული საგრანტო პროექტი (#FR-18-8649, გაფორმებული 27.02.2019), 2019-2023 წლები;

2. **„ლაზური ეთნოგრაფიული ლექსიკონი“,** ქართველოლოგიის დარგი, ლექსიკოლოგია, ეთნოლოგია, FR-2-1 12533; 2022-2024 წწ.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **რუსლან ბარამიძე,** პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი
   მაია ბოლქვაძე, პროექტის მენეჯერი

2. ნუგზარ მგელაძე (პროექტის ხელმძღვანელი)
   თემურ ტუნაძე(პროექტის კოორდინატორი)
   იაშა თანდილავა (ძირითადი პერსონალი)
   ციალა ნარაკიძე (ძირითადი პერსონალი)
   ლილე თანდილავა(ძირითადი პერსონალი)
   მზია ჯღარკავა (ძირითადი პერსონალი).

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. **„რა იგებს არჩევნებს საქართველოში“**

პროექტის მეორე საანგარიშო პერიოდში მოპოვებული იქნა დამატებითი მასალები საპრეზიდენტო ინსტიტუტის ჩამოყალიბებაზე სომხეთსა და აზერბაიჯანში. მასალები აისახა შესაბამის სტატიაში, რომელიც გამოსაქვეყნებლად გაგზავნილია Google scholar-ში ინდექსირებულ ჟურნალში „გარემო და საზოგადოება“. საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნდა სტატია „The Presidential Institute in Georgia: Subjective Understanding of Political Needs and Institutional Transformations“ მაღალრეიტინგულ ჟურნალში „Open Journal of Political Science“. მეორე სტატია „“Image of Voters” in the Pre-Election Campaigns of Presidential Candidates in Georgia: Society, People, Nation“ გამოქვეყნდება საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეიტინგულ ბაზაში ინდექსირებულ ჟურნალში Journal of Innovations and Sustainability. ამ პერიოდში ასევე დამატებით იყო მოპოვებული მასალები, რომლებიც ეხება საპრეზიდენტო ინსტიტუტს - გამოსვლები, მიმართვები, ინტერვიუები და ა.შ. დამტებით იყო მოპოვებული სამართლებრივი ხასიათის მასალები, რომლებიც ეხებოდნენ ამ ინსტიტუტის შექმნას და ცვლილებას სამხრეთ კავკაიაში. შესაბამისი მასალები ინახება პროექტის მონაწილეებთან. პროექტის მიმდინარეობისას, ასევე, შესრულდა გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული სხვა აქტივობებიც. პროექტის ძირითადმა პერსონალმა მონაწილეობა მიიღო კონფერენციაში „გარემო და საზოგადოება“, რის შედეგად მოხსენების თეზისი გამოქვეყნდება ქართულენოვან გამოცემაში. პროექტის მეორე საანგარიშო პერიოდის ბოლოს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტში გაიმართა საანგარიშო პრეზენტაცია, რომელშიც ონლაინ მონაწილეობა მიიღო პროექტის კონსულტანტმა დოქტ. სერგეი რუმიანცევმა.

2. **„ლაზური ეთნოგრაფიული ლექსიკონი“**

თანამედროვე ურბანიზაციის განვითარების,მსოფლიო გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პირობებში საფრთხის წინაშე დადგა ტრადიციული კულტურული ფასეულობების სიცოცხლის უნარიანობა. აქედან გამომდინარე, ამ პროცესების ფონზე, ვფიქრობთ, ლაზური ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის თავმოყრა და ბეჭდურ გამოცემაში მისი ასახვა პრობლემათა წარმატებულ გადაჭრას წარმოადგენს. საკვლევი თემის მიზანიც, სწორედ, ლაზური ეთნოლოგიური ტერმინოლოგიის შესწავლაა.

ამ მიზნით ჩვენ მიერ ჟორჟ დიუმეზილის, იოსებ ყიფშიძის, ირინე ასათიანის, ხასან ჰელიმიშის, ნოდარ კაკაბაძის, სერგი ჟღენტის, ომარ მემიშიშის ნაშრომებიდან ამოკრეფილი და ბარათებზე გადატანილი იქნა 700- ზე ეთნოლოგიური ტერმინი სათანადო განმარტებებით. წეს-ჩვეულებებთან და თამაშებთან დაკავშირებულ ტერმინთა უმრავლესობა ჩვენ მიერ იქნა სათანადოდ აღწერილი. აღმოჩნდა ისეთი ეთნოლოგიური ტერმინებიც , რომლებიც თანამედროვე ლაზთა მეტყველებაში არ იხმარება. ბევრი ტერმინიც ნასესხობის გზითაა შემოსული და დამკვიდრებული თურქულიდან და ბერძნულიდან.

3.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1.

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

2.

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

2.

4. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

4.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. BILATERAL AGREEMENT REGARDING FULFILLMENT OF THE PROJECT GRANT CPEA-LT-2016/10003 "Advanced Collaborative Program for Research Based Education on Risk Management in Industry and Services under Global Economic, Technological and Environmental Changes: Enhanced Edition", Norwegian

   „გლობალური ეკონომიკური, ტექნოლოგიური და გარემოსდაცვითი ცვლილებებით გამოწვეული პრობლემების კვლევა, განათლების, ინდუსტრიისა და მომსახურების რისკის მართვა", ინტერდისციპლინარული საგრანტო პროექტი რისკების მართვაზე

   პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი - CPEA-LT-2016/10003
   დამფინანსებელი ქვეყანა - ნორვეგია
   პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები - 2018-2023 წლები

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. იბრაიმ დიდმანიძე – კოორდინატორი,
   ძირითადი პერსონალი – **მერაბ მეგრელიშვილი,** ზ. მეგრელიშვილი, ნ. ახვლედიანი, დ. დიდმანიძე, ზ. ახვლედიანი, დ. ახვლედიანი, ნ. სამნიძე, დ. გელაძე, გ. იმნაიშვილი.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. საგრანტო პროექტის ძირითადი ამოცანაა:
   - საგანმანათლებლო და კვლევით სფეროში თანამშრომლობის რაოდენობრივი რისკის მართვის და მასთან დაკავშირებული თემები, მაგ., რისკისა და გაურკვევლობის ოპტიმალური გადაწყვეტილების მხარდაჭერა;
   - უკრაინის, ავსტრიის, მოლდოვას, საქართველოსა და ნორვეგიის უნივერსიტეტების მდგრადი ქსელის განვითარება.

   პროექტის ძირითადი საქმიანობაა:
   - სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია და განახლება;
   - ევროპის პარტნიორ ორგანიზაციებში აკადემიური პროგრამების სტანდარტების სრულყოფა;
   - სტუდენტთა და ფაკულტეტის პერსონალის მობილობის ორგანიზება პარტნიორ ორგანიზაციებს შორის;
   - ქსელისა და ინტერდისციპლინარული თანამშრომლობის სფეროში რისკების მართვა (მათ შორის, ბიზნესის ხელშეწყობა და თანამშრომლობა ნორვეგია-ავსტრია-უკრაინა-საქართველო-მოლდოვას შორის);

   პროექტის შედეგების გავრცელება საერთაშორისო კონფერენციებზე. კერძოდ, პარტნიორი ორგანიზაციების ძირითადი ამოცანებია შემდეგი:
   - ყველა პროექტის საქმიანობაში საერთო კოორდინაცია და მონაწილეობა;
   - პროექტის შეხვედრების ორგანიზება და მხარდაჭერა;
   - ნორვეგიის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში მონაწილეობა.

   2018 წლის 1-15 ოქტომბერს პროექტის ფარგლებში ბათუმში ჩატარდა საზაფხულო სკოლა.

   ერთი მაგისტრანტი, ვახტანგ დონაძე, 6 თვით იმყოფებოდა ნორვეგიაში გაცვლით პროგრამის ფარგლებში.

   2021 წლის 15-19 ნოემბერს გრანტის ფარგლებში კიშინიოვში (მოლდოვეთი) ჩატარდა მორიგი სამეცნიერო კონფერენცია.

2022 წლის ოქტომბერში, ნორვეგიაში, ქალაქ ტრონხეიმში ჩატარდა გრანტის პროექტში მონაწილე ქვეყნების წარმომადგენელთა შეხვედრები. ამ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა. გავეცანით ნორვეგიის საბაკალავრო. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს.

2022 წლის 21-26 ნოემბერს, პროექტის ფარგლებში, იბრაიმ დიდმანიძისა და **მერაბ მეგრელიშვილის** თანაორგანიზატორობით, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა „ნორვეგიულ-ავსტრიულ-ქართულ-მოლდავურ-უკრაინული საშემოდგომო სკოლა ინოვაციებისა და რისკების მართვის შესახებ“. მათ მიერვე მზადდება სტატია ჩატარებულ ღონისძიებასთან დაკავშირებით.

4.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა, პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1.

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

2.

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

2.

5. პატენტები (არსებობის შემთხვევაში):

5.1. საერთაშორისო პატენტები:

საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.

2.

5.2. ეროვნული პატენტები

საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.

2.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **ნოდარ კახიძე, როინ მალაყმაძე, ნაილა ჩელებაძე, ჯემალ ვარშალომიძე, რუსლან ბარამიძე, თამილა ლომთათიძე, ჯემალ მიქელაძე;** „მასალები აჭარის ყოფისა და კულტურის შესწავლისათვის“, ტომი II, მევენახეობა-მეღვინეობა-მეხილეობა, ISBN 978-9941-488-46-7, ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 160 გვ.

2. **ნოდარ კახიძე, როინ მალაყმაძე, ნაილა ჩელებაძე, ჯემალ ვარშალომიძე, რუსლან ბარამიძე, თამილა ლომთათიძე, ჯემალ მიქელაძე;** „მასალები აჭარის ყოფისა და კულტურის

შესწავლისათვის“, ტომი III, შინამრეწველობა-ხელოსნობა, ISBN 978-9941-488-46-7, ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“(იბეჭდება)

3. თამილა ლომთათიძე (თანაავტორები მარიამ მეტრეველი, **სულხან მამულაძე,** ს.აბულაძე), ,,შხამიანი მცენარეები აჭარის ადგილობრივ და ინტროდუცირებულ ფლორაში (ეთნო-ბოტანიკური შესწავლა)“, ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“(იბეჭდება

4. ნანული ნოღაიდელი, ელზა ფუტკარაძე, „ხატოვანი სიტყვა-თქმები აჭარულში“, ISBN 978-9941-488-45-0, ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“,164 გვერდი.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. **„მასალები აჭარის ყოფისა და კულტურის შესწავლისათვის“ – II**

ტომში წარმოდგენილია ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეთნოლოგიის განყოფილების მიერ 1958-1990-იან წლებში ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურის, ქობულეთის რაიონებში შეკრებილი ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები, რომლებიც ინსტიტუტის ფონდებში დაცულია საექსპედიციო დღიურების სახით. წინამდებარე ტომში შესულია მევენახეობა-მეღვინეობა-მეხილეობასთან დაკავშირებული მონაცემები (აჭარის ტრადიციული მეურნეობის სხვა დარგების შესახებ მონაცემები მომდევნო ტომებში აისახება). მასალები შეიცავს ცნობებს ვაზის ჯიშების, მევენახეობა-მეხილეობის იარაღ-ინვენტარის, მარან-საწნახლების, ხეხილის ჯიშების, მევენახეობა-მეხილეობის პროდუქტების და წეს-ჩვეულებების შესახებ. ნიკო ბერძენიშვილის ფონდებში თავმოყრილი მასალა ფასდაუდებელ ინფორმაციას ინახავს აჭარაში მევენახეობა-მეღვინეობა-მეხილეობის ისტორიისა და ტრადიციების შესასწავლად.ტომს ერთვის საძიებლები და საილუსტრაციო მასალები.

2. **„მასალები აჭარის ყოფისა და კულტურის შესწავლისათვის“ – III**

მასალების მესამე ტომში შეტანილია ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელთა მიერ 1958-1990-იან წლებში აჭარაში (ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურის, ქობულეთის მუნიციპალიტეტები) შეკრებილი ის ეთნოგრაფიული მასალები, რომლებშიც ასახულია მრავალდარგოვანი ხელოსნობისა და შინამრეწველობის ძირითადი საკითხები. მასალები შეიცავს ეთნოგრაფიულ მონაცემებს მჭედლობაზე, ხისა და კერამიკულ ნაკეთობათა დამზადებაზე, ხალხურ ფეიქრობაზე, ამ დარგებთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე. ტომს ერთვის საძიებლები და საილუსტრაციო მასალები. ტომში შესული საექსპედიციო მასალები ნათლად წარმოაჩენს აჭარელთა წვლილს ხელოსნობა-შინამრეწველობის ნაკეთობათა დაზადებაში, რომლის ცალკეული ნიუშები, თავისი დახვეწილი ფორმებით, გამორჩეულ ადგილს იმკვიდრებს საერთოდ, ქართულ ხელოსნურ-შინამრეწველურ ნაკეთობათა ისტორიაში.

3. **,,შხამიანი მცენარეები აჭარის ადგილობრივ და ინტროდუცირებულ ფლორაში“ (ეთნო-ბოტანიკური შესწავლა)**

ლიტერატურული მასალებისა და ეთნო-ბოტანიკური კვლევის შედეგად მოპოვებული თეორიული და ფოტომასალების საფუძველზე გამოსაცემად მომზადდა სამეცნიერო-პოპულარული, ფერადილუსტრირებული ნაშრომი ქართულ და ინგლისურ ენებზე შხამიანი მცენარეების ზოგადი ბოტანიკურ-მორფოლოგიური აღწერილობით, მათგან გამოწვეული მოწამლვის ტიპებისა და თავდაცვის მეთოდების შესახებ. ნაშრომში გაანალიზებულია მათგან მომდინარე საფრთხეები, შესწავლილია ადგილობრივი მოსახლეობის ცოდნა შხამიან მცენარეულ

სახეობებზე, მათგანგამოწვეულ პათოლოგიებზე, პირველადი დახმარებისა და განკურნების ტრადიციულ მეთოდებზე.

4. **„ხატოვანი სიტყვა-თქმები აჭარულში“**

ქართული ენა, მისი დიალექტები მდიდარია ხატოვანი სიტყვა-თქმებით, ფრთიანი გამოთქმებით. ამ მიმართებით ამოუწურავია აჭარული კილოს სალექსიკონო მასალა. უამრავი სახასიათო ხატოვანი სიტყვა-თქმაა მიმოფანტულ-დაუნჯებული ხალხში და იმავე ხალხის ზნე-ჩვეულების, ყოფის, ტრადიციის, კულტურის გასაღებიცაა. მართალია, ქართული ფრაზეოლოგიზმები შესწავლილია, გამოკვეთილია კვლევის სხვადასხვა ასპექტები, თუმცა ამას ვერ ვიტყვით ქართული ენის დიალექტებთან მიმართების კუთხით. ხატოვან სიტყვა-თქმებს აჭარულში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა, მაგრამ საკითხი მონოგრაფიულად არაა შესწავლილი. ჩვენი კვლევის მიზანი, სწორედ, ხატოვანი თქმების აღწერა და სალექსიკონო მასალის სახით გამოცემაა აჭარული კილოს მონაცემების გათვალისწინებით.ხალხური სიტყვა-თქმების შესწავლა რთულია, რამდენადაც ამ სახის ლექსიკა ხალხის ცოცხალ მეტყველებაზე სისტემატურ, ხანგრძლივ დაკვირვებას მოითხოვს. გარდა აღნიშნულისა, ბევრი სიტყვა თუ გამოთქმა თანდათან დავიწყებას ეძლევა და ისტორიის კუთვნილება ხდება. არადა, ამ სახის დიალექტურ მონაცემებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ენაში მომხდარი პროცესების დასადგენად და განსაკუთრებით, ეთნოკულტურულოგიური ასპექტების მართებული გააზრებისათვის. ამ მიმართებით, ჩვენი მოკრძალებული მცდელობააუფრო სიღრმისეულადწარმოვაჩინოთ ხალხური სიტყვა-თქმებიაჭარულ კილოში.

კვლევას აქვს თეორიულ-პრაქტიკული ღირებულება. მას გამოიყენებენ ენათმეცნიერები, ლიტერატორები, ეთნოგრაფები, მხარეთმცოდნეები, მწერლები და საკითხით დაინტერესებული პირები.

6.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. ინგლისურენოვანი ნაშრომის თარგმანი ქართულ ენაზე, რედაქტორი: **რუსლან ბარამიძე;** მარტინ დემანტ ფრედერიქსენი; „ახალგაზრდობა, დრო და მოწყენილობა საქართველოში“, ISBN 978-9941-8-4223-8; თბილისი, გამომც. „კოლორი“; 210 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

1. დანიელი მკვლევრის მარტინ დემანტ ფრედერიქსენის ნაშრომში „ახალგაზრდა კაცები, დრო და მოწყენილობა საქართველოში“ შესწავლილია ახალგაზრდების მარგინალიზაცია სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებების პირობებში, როცა ყოველდღიურობა მოწყენილობისა და დროითობის ზემოქმედებით ფორმირდება. სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის მიმართულებით შესრულებული ნაშრომი ემყარება ბათუმში განხორციელებულ კვლევას. ნაშრომი განკუთვნილია უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებების მიმართულების სტუდენტების, მკვლევარების, აკადემიური პირებისა და ახალგაზრდობისა და მარგინალიზაციის საკითხებით დაინტერესებული ფართო წრისათვის.

6.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება დანომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **გიორგი თავამაიშვილი;** „ოსმალური თიხის ჩიბუხები პეტრას ციხიდან“, ORCID: 0000-0001-6189-6937. ჟურნ. „აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე“, №2, SSN 2587-490X, E-ISSN2720-8168, ბათუმის შოთა რუსთაველი სახელმწიფო უნივერსიტეტი, გვ.226-246 https://openjournals.ge/index.php/hos/index

2. **სულხან მამულაძე,** „პონტოს ლიმესი: რომაელები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში“, ORCID: 0000-0001-5490-824X; ჟურნ.: TSU-TI — THE INTERNATIONAL SCIENTIFIC JOURNAL OF HUMANITIES, P-ISSN: 2720-8400, E-ISSN: 2720-8419; DOI: https://doi.org/10.55804/TSU-ti-1/Mamuladze

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. **„ოსმალური თიხის ჩიბუხები პეტრას ციხიდან“,**

წარმოდგენილი ნაშრომი ეძღვნება კერამიკულ ნაკეთობებს – თამბაქოს მოსაწევ თიხის ჩიბუხებს, რომლებიც მრავლადაა აღმოჩენილი ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების, განსაკუთრებით,სამხედრო-სტრატეგიული ობიექტების – ციხე-სიმაგრეების გათხრების დროს. აღნიშნული არტეფაქტების ასეთ სპეციფიკურ გარემოში მიკვლევის ფაქტი არ არის გასაკვირი, რადგან, როგორც ევროპის, ასევე აღმოსავლეთის ქვეყნებში, თამბაქოს (მათ შორის – ჩიბუხის) აქტიურ მომხმარებლებად, მეტწილად, სამხედრო მოსამსახურეები გვევლინებიან. ამ კონტექსტში გამონაკლისი არც ჩვენი რეგიონია. ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს საქართველოს ზღვისპირეთის ისტორიული ძეგლის – პეტრას ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი თამბაქოს მოსაწევი ოსმალური თიხის ჩიბუხები, რომლებიც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის სხვადასხვა თაობის მიერ 1964 და 1985 წლებში იყო აღმოჩენილი.

აღნიშნული არტეფაქტების კვლევა საინტერესოა და აქტუალურიც, რადგან, დღესაც, ქართველ არქეოლოგთა შორის გარკვეული აზრთა სხვადასხვაობაა ჩვენ ქვეყანაში თამბაქოს მოსაწევი ოსმალური თიხის ჩიბუხების გავრცელების საწყისს პერიოდთან დაკავშირებით, რაც, არცთუ იშვიათად, არაერთგვაროვნად აისახება არათუ ჩიბუხების, არამედ თანმხლები მასალის დათარიღების პროცესში. ევროპელ და თურქ მკვლევართა ნაშრომების გაცნობის შემდეგ,ჩვენ უფრო მეტი საფუძველი გვაქვს თამბაქოს მოსაწევი ოსმალური თიხის ჩიბუხების გამოჩენა საქართველოს ტერიტორიაზე XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან ვივარაუდოთ, როდესაც სულთან იბრაჰიმI-ს დროს, ნაწილობრივ გაუქმდა შეზღუდვა თამბაქოს მოხმარებაზე. ამ ვარაუდს ამყარებს საქართველოს გვიანი შუასაუკუნეების ძეგლებზე მიკვლეული არქეოლოგიური მასალა, სადაც მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენს XVII საუკუნის ნიმუშები, ხოლო მეტი წილი მოდის XVIII-XIX საუკუნეების ნაკეთობებზე.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში თამბაქოს მოსაწევი თიხის ჩიბუხები ყველაზე დიდი რაოდენობით აღმოჩენილია გონიო-აფსაროსის და პეტრას ციხის ტერიტორიაზე, სადაც, კონკრეტულ პერიოდში, ოსმალური ელემენტი იყო წარმოდგენილი, რეალური სიტუაციიდან გამომდინარე, რეგლამენტირებული (სამხედრო სამსახური), მაგრამ ცხოვრების ტრადიციული წესის ნიშნებით. გონიო-აფსაროსის არქეოლოგიური მასალა უფრო მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია, რადგან ოსმალებმა ციხე გაცილებით ადრე დაიკავეს და უფრო დიდხანსაც „შემორჩენ“, ვიდრე პეტრა-ციხისძირში. შესაბამისად, თუ გონიო-აფსაროსში აღმოჩენილი თამბაქოს მოსაწევი თიხის ჩიბუხების ასაკი XVII-XIX საუკუნეებით განისაზღვრება, პეტრას ციხეზე მიკვლეული მსგავსი არტეფაქტები XVIII-XIX საუკუნეებით თარიღდება, რაც, სრულ ქრონოლოგიურ თანხვედრაშია ისტორიულ წყაროებში მითითებულ პეტრა-ციხისძირში ოსმალთა „მოღვაწეობის“ პერიოდთან.

2. „პონტოს ლიმესი: რომაელები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში“.

პონტო-კავკასიის სასაზღვრო თავდაცვის სისტემამ ფუნქციონირება დაიწყო ვესპასიანეს (69-79) მმართველობის დროიდან, მას შემდეგ, რაც იმპერატორმა აღმოსავლეთის მთელი თავდაცვის ხაზის მოდერნიზაცია-რეორგანიზაცია მოახდინა. 72-76 წლებში რომის იმპერიის აღმოსავლეთ საზღვრების მთელ რეგიონებში დაიწყო რომაული გარნიზონების განთავსება. ვესპასიანეს მიერ შექმნილმა „კაპადოკიურმა კომპლექსმა“, რომელშიც კოლხეთიც შედიოდა, მიიღო ორი ლეგიონი. ეს ლეგიონები განლაგდნენ კაპადოკია-მცირე სომხეთის ხაზზე, სათალასა და მელიტენეში.

მელიტენში განლაგებული იყო სირიიდან გადმოყვანილი ”Legio XII Fulminata” (ელვისებური), ხოლო სათალაში - ახლად ჩამოყალიბებული ”XVI Flavia Firma”, რომელიც მოგვიანებით შეიცვალა XV Apollinaris-ით. სათალა და მელიტენე ითვლებოდა კაპადოკიის ნაწილად და სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით, რომაული ძალების მთავარ სადისტრიბუციო ბაზად კავკასიაში, ცხადია კაპადოკიის ლეგატის ქვეშ. მელიტენის სამხრეთით იწყებოდა „სირიის ლიმესი“.

სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ტრაპიზონი გახლდათ იმპერიის უმნიშვნელოვანესი სამხედრო-ეკონომიკური ცენტრი. 64 წლიდან აქ ჩადგა რომაული გარნიზონი „Classic Pontica“. ამასთანავე, ტრაპიზონი გახლდათ იმპერიის თავდაცვის სისტემის ერთ-ერთი საწყისი პუნქტი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში - პონტო-კავკასიის სასაზღვრო ხაზზე, რომელიც მოიცავდა ტრაპიზონის, ჰისოსის, რიზეს, ათენას, აფსარუსის, ფაზისისა და სებასტოპოლისის კასტელუმებს.

II საუკუნის შუა ხანებამდე პონტო-კავკასიის სასაზღვრო ხაზი მხოლოდ სებასტოპოლისამდე ვრცელდებოდა. მაგრამ 132-152 წლებში ამ თავდაცვის სისტემის არეალი გაფართოვდა ბიჭვინთამდე. აღსანიშნავია ისიც, რომ პონტო-კავკასიის ხაზზე მდებარე კასტელუმების მატერიალურ-ტექნიკური საჭიროებებით უზრუნველყოფა სწორედ ტრაპიზონიდან ხდებოდა.

ცნობილია, რომ რომაელებმა მუდმივი, გრძელვადიანი ციხესიმაგრეების აგებამდე ე.წ. ’Pilum Murale’-ს დროებითი ხის სიმაგრეებს აგებდნენ. სავარაუდებელია, რომ თავდაპირველად, რომაელებმა მსგავსი დროებითი ხის სიმაგრეები ააგეს, რასაც ფლავიუს არიანეც (95-175 წწ.) მოიხსენიებს ფაზისის შემთხვევაში. საინტერესოა ისიც, რომ, უახლეს კვლევებზე დაყრდნობით, აფსარუსში, რომელიც პონტო-კავკასიის სასაზღვო ხაზის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლი გხლდათ, მასშტაბური მშენებლობები (ციხე-სიმაგრე, ნავსადგური) დაიწყო I საუკუნის მეორე ნახევარში. აფსარუსის კასტელუმი მომდევნო ორი საუკუნის განმავლობაში იმპერიის აღმოსავლეთ რეგიონის უმნიშვნელოვანესიფორპოსტი გახლდათ.

აფსარუსში ასეთი მნიშვნელოვანი სამხედრო ძალის არსებობა განპირობებული იყო მისი სტრატეგიული მდებარეობითა და განსაკუთრებული მისიით. ამავე დროს, აკონტროლებდა სანაპირო ზოლს. მისი მთავარი ფუნქცია ჩრდილო-კავკასიელი მომთაბარეებისგან მომავალი საფრთხის აღკვეთა და კავკასიისა და მცირე აზიის რომაული პროვინციების უსაფრთხოების დაცვა გახლდათ. აფსარუსის გეოსტრატეგიული მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა II საუკუნის 20-იანი წლებიდან, როდესაც იბერიის სამეფომ დაიპყრო კოლხეთის სანაპიროს ნაწილი.

პონტო-კავკასიური სასაზღვრო თავდაცვის სისტემის მეშვეობით, რომელიც წარმატებით ინარჩუნებდა რეგიონში სამხედრო და ეკონომიკურ სტაბილურობას III საუკუნის შუა ხანებამდე იარსება. ამ პერიოდში შეწყდა ჩრდილოკავკასიელი მომთაბარეების თავდასხმები კოლხეთსა და რომის სხვა პროვინციებზე; აღიკვეთა მეკობრეობა და ძარცვა; უზრუნველყოფილი იყო იმპერიის შორეული პროვინციების უსაფრთხოება და ადგილობრივი ტომებიც რომის რეალური კონტროლის ქვეშ მოექცნენ.

IV საუკუნის დასაწყისიდან რომის სასაზღვრო თავდაცვის სისტემა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ჩვეული ძალით განახლდა, თუმცა მისი ფუნქციონირება მხოლოდ IV საუკუნის II ნახევრამდე გაგრძელდა.

6.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური;ჟურნალის/კრებულის დასახელება დანომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **ნოდარ კახიძე, როინ მალაყმაძე,** „ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური პარალელები მატერიალურ კულტურაში და მისი მნიშვნელობა მეცნიერების ამ დარგების ცალკეული საკითხების კვლევაში“ (საწბერი, გობი, ტაბო); საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის შრომები, VIII, ISSN 2449-2507, ბათუმი, (იბეჭდება).

2. **ნოდარ კახიძე,** „თედო სახოკიას ბათუმელი მეგობრები“, კრ.: „ბათუმი - წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), ტ. XII, ISSN 1987-8745, ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, გვ. 192-197

3. **როინ მალაყმაძე,** ნუგზარ ზოსიძე, ენვერ დიასამიძე, „ინტერესთა შეუთავსებლობა და ტერიტორიულ-სასაზღვრო საკითხები საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობებში 1919-1921 წლებში“, ჟურნალი „მოამბე“, ტომი XVI, №4, ISSN - 0132 – 1447, თბილისი, გვ. 127-133;

4. **Ruslan Baramidze**, Maia Bolkvadze; „Formation of the Presidential Institute in Georgia and the Republics of South Caucasus“; Environment and Society, Vol. 5 No. 5 (2022): International Conference - Space, Society, Politics (SSP) abstracts, ISSN 2667-9620 (online)

5. **ნაილა ჩელებაძე,** „ტრადიციული ელემენტები თანამედროვე ქორწილში“ (ბათუმის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), კრ.: „ბათუმი - წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), ტ. XII, ISSN 1987-8745, ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, გვ. 302-307.

6. **ნაილა ჩელებაძე,** „ეთნოგრაფიული დიდაჭარა: სამიწათმოქმედო ყოფა“ (ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის 1958 წლის პირველი სამეცნიერო ექსპედიციის მასალების მიხედვით), კრ.: „ღვთისმშობლის წილხვდომილობა“ (ბათუმის კულტურის ცენტრის წილხვდომილობის დღესასწაულის კონფერენციის მასალები),II, ბათუმი, გვ.74-90.

7. **ოლეგ ჯიბაშვილი,** ირაკლი ბარამიძე, ხათუნა დიასამიძე; „სოციალურ-პოლიტიკური ვითარება ბათუმსა და შემოგარენში XIX საუკუნის 40-50-იანი წლების მიჯნაზე (ბრიტანეთის ვიცე-კონსულის – ჰოლმსის ცნობების მიხედვით)“, კრ.: „ბათუმი - წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), ტ. XII, ISSN 1987-8745, ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, გვ. 24-34.

8. **ოლეგ ჯიბაშვილი, ირინე ვარშალომიძე;** „საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლთა სამარხები ბათუმში“, კრ.: „ბათუმი - წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), ტ. XII, ISSN 1987-8745, ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, გვ. 124-143.

9. **ოთარ თურმანიძე;** „ბათუმის სამკერვალო ფაბრიკის ისტორიისათვის“, კრ.: „ბათუმი - წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), ტ. XII,

ISSN 1987-8745, ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, გვ.144-161.

10. **უჩა ოქროპირიძე;** „თანამედროვე ქართული ეროვნული მოძრაობა და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ქართული არაფორმალური პრესის მიხედვით“, ჟურნ. „ამირანი“ (კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე), №36, ISSN 1512-0449, მონრეალი-თბილისი, გვ. 225-240, http://caucasology.com/view_amirani.php?id=572

11. **უჩა ოქროპირიძე;** „ნოე ჟორდანიას პოლიტიკური პორტრეტისათვის“, ჟურნ. „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე“ (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), №1, ISSN-0132-6058, თბილისი, გამოიცემა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ, გვ. 41-53. http://macne.org.ge/index.php/macne/article/view/40/70

12. **უჩა ოქროპირიძე;** „ცხრა აპრილის ასახვა ბათუმურ სიტყვიერებაში“, კრ.: „ბათუმი - წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), ტ. XII, ISSN 1987-8745, ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, გვ. 247-252.

13. **მაია ჭიჭილეიშვილი;** „ბათუმის „თამარის ციხის“ კონსერვაციისათვის (ხელოვნებათ-მცოდნეობითი კვლევის შედეგები ბათუმის „თამარის ციხის“ შესახებ)“, კრ.: „ბათუმი - წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), ტ. XII, ISSN 1987-8745, ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, გვ. 319-333.

14. **მერაბ მეგრელიშვილი;** „ქართული კულტურის როლი უკრაინის ისტორიაში“, საერთაშორისო პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“, №2(72), ISSN 1512-0333, თბილისი, გამოიცემა საქართველოს მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარების ფონდი „ინტელექტის“ მიერ.

15. **მერაბ მეგრელიშვილი,** ნიკოლოზ მეგრელიშვილი; „ლონდონ-ბათუმის სავაჭრო-კოოპერაციულ-სააქციო საზოგადოება“, კრ.: „ბათუმი - წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), ტ. XII, ISSN 1987-8745, ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, გვ. 198-211.

16. **სულხან მამულაძე,** რადოსლავ კარასიევიჩ-სციპიორსკი; „პონტოს ლიმესი: რომაელები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში“, კრ.: „ბათუმი - წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), ტ. XII, ISSN 1987-8745, ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, გვ.175-191.

17. **სულხან მამულაძე,** „რომაული კულტები გონიო-აფსაროსში“, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალი „მოამბე“, ტ. 19, ISSN-0132-1447, გადაცემულია დასაბეჭდად.

18. **ელზა ფუტკარაძე,** „ტაოს ქართულის ლექსიკიდან“, 42-ე რესპუბლიკური დიალექტოლოგიურისამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, თსუს არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი,გვ. 134-140.

19. **ცისნამი ბერიძე,** „რა ენა წახდეს“ (ქართული სალიტერატურო ენის აქტუალური საკითხები), კრ.: „ბათუმი - წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), ტ. XII, ISSN 1987-8745, ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, გვ. 63-68.

20. **ნაილე მიქელაძე,** „ტოპონიმები დიდაჭარიდან“, კრ.: „ღვთისმშობლის წილხვდომილობა“ (ბათუმის კულტურის ცენტრის წილხვდომილობის დღესასწაულის კონფერენციის მასალები),II, ბათუმი, გვ.24-38.

21. **ნაილე მიქელაძე,** „ბათუმური რეალიები შოთა ზოიძის პოეზიაში“, კრ.: „ბათუმი - წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), ტ. XII, ISSN 1987-8745, ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, გვ.,212-218).

22. **ნანული ნოღაიდელი,** „სათუთა და დედიფერა“ (მასალები რძისა და რძის ნაწარმის დამზადების ლექსიკიდან ზემო აჭარაში), XLII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, თსუს არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი,გვ. 92-98.

23. **ციალა ნარაკიძე,** „ზღვაოსნობა-თევზჭერის ტრადიციებთან დაკავშირებული ზოგიერთი ლექსიკური ერთეულის შესახებ“, 42-ე რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სესიის მასალები, თბილისი, თსუს არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, გვ. 87-92.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. **„ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური პარალელები მატერიალურ კულტურაში და მისი მნიშვნელობა მეცნერების ამ დარგების ცალკეული საკითხების კვლევაში“ (საწბერი, გობი, ტაბო)**

ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური პარალელური შესადარებელი მატერიალური მონაცემების შესწავლის საფუძველზე ნაშრომში აღწერილია ხილის (მსხლის, ვაშლის და თუთის, ყურძნის) წვენის ამოსაღები იარაღები (საწბერი გობის, ტაბოს მაგალითზე.

არქეოლოგიური პარალელებიდან განხილულია ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბორჯომის პარკში გამოფენილი VII საუკუნის თასი, რომელიც ჩამოტანილია ამავე მუნიციპალიტეტის სოფელ ჭობისხევიდან და ახალციხის მუზეუმში დაცული ქვის და ხის საწბერი თასი. ეთნოგრაფიული პარალელებიდან მოყვანილია აჭარის მოსახლეობის ცხოვრებაში გავრცელებული (მაჭახელის ხეობა, კირნათი, მარადიდი, ერგე) და დღემდე ცნობილი ხის საწნეხი იარაღები ხილის წვენის დასამზადებლად, რომლებიც ცნობილია ტაბოს სახელით.

მატერიალური კულტურის ამ ელემენტების ურთიერთშეპირისპირების და ანალიზის საფუძველზე ნაშრომში განიხილულია წვენის ამოსაღები იარაღების გენეზისა და წარმოების, ფუნქციური დანიშნულების საკითხები. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით შესწავლილია ხილის წვენიდან თაფლით შესქელებული ბაქმაზის და ლეჩერის (ბაქმაზში მოხარშული გოგრა და ბრინჯი) დამზადებისა და მოხმარების წესები. ბაქმაზი და ლეჩერი იყო ტრადიციული ხალხური სამზარეულოს მნიშვნელოვანი ელემენტები, რომლებიც ბოლო დრომდე ფართოდ გამოიყენებოდა ქართველი მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაში აჭარასა და საქართველოს სხვა კუთხეებში, მათ შორის თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებში მოქცეულ ქართველ მოსახლეობაში.

2. **„თედო სახოკიას ბათუმელი მეგობრები“**

სტატიაში გაშუქებულია გამოჩენილი მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის, ეროვნულ-განმათავისუფებელის მოძრაობის თვალაჩინო წარმომადგენლის თედო სახოკიას ციმბირში გადასახლებიდან ფარულად, საიდუმლო ვითარებაში ჩამოსვლა (1907 წლის მაისი) და მის ბათუმელ მეგობრებთან შეხვედრის ეპიზოდები. საუბარია თედო სახოკიას ციმბირში გადასახლების მიზეზებზე, რაც დაკავშირებული იყო პარიზში მოღვაწე ქართველ პატრიოტებთან ერთად რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში ევროპიდან საქართველოში იარაღის შემოტანასა და მის დარიგებაზე რევოლუციის მონაწილეთათვის. თედო სახოკია, როგორც საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე, ამ საქმის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე და ორგანიზატორის იყო. შემდეგ სტატიაში მოთხრობილია, თუ როგორც მოახერხა მან ბათუმელი მეგობრების დახმარებით თურქეთში და აქედან ევროპაში გადასვლა, მისი მეორედ დაპატიმრების თავიდან ასაცილებლად.

3. **„ინტერესთა შეუთავსებლობა და ტერიტორიულ-სასაზღვრო საკითხები საქართველო-ოსმალეთისურთიერთობებში 1919-1921 წლებში“**

ისტორიულ წარსულში საქართველო ახერხებდა არა თუ დაეცვა თავისი სახელმწიფო საზღვრები, არამედ გავლენას მეზობელი სახელმწიფოების ტერიტორიაზეც ავრცელებდა! საქართველოს სახელმწიფო სასაზღვრო რეჟიმი მეზობელ სახელმწიფოებთან ხშირად ქვეყნის შიდაპოლიტიკურ და საერთაშორისო მდგომარეობაზე იყო დამოკიდებული. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ისტორიულ-ტერიტორიული სახელმწიფო საზღვრები დღეს არსებული რეალობიდან ძალიან შორს დგას. ამ მხრივ ერთ-ერთი რთული მონაკვეთი 1918-1921 წლების საქართველო-ოსმალეთის სასაზღვრო ხაზი იყო. XIX საუკუნის დასაწყისიდან რუსეთის იმპერიისმიერ ფეოდალური ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიისის შემდეგ, რუსეთ-ოსმალეთის იმპერიების სახელმწიფო საზღვრები საქართველოს მონაკვეთზე რამდენჯერმე შეიცვალა. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს საქართველოს დაუბრუნდა ისტორიული მიწა-წყალი, რითაც ქვეყნის სასაზღვრო ხაზი ამ მონაკვეთზე მიუახლოვდა ისტორიულ რეალობას და იყო შანსი მისი კიდევ უფრო გაფართოებისა (პირველი მსოფლიო ომის დროს). საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ქვეყნის ხელისუფლება ძალასა და ენერგიას არ იშურებდა სახელმწიფო საზღვრის დასაცავად. საქართველოს ხელისუფლებას საზღვრებთან დაკავშირბით პრობლემები ჰქონდაყველა მეზობელ სახელმწიფოსთან - რუსეთთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან, რაც კავკასიაში რუსეთის იმპერიის ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ მოწყობიდან გამომდინარეობდა სამწუხაროდ ეს რეალობა დღესაც აქტუალურ ხარისხშია.

4. **„Formation of the Presidential Institute in Georgia and the Republics of South Caucasus“**

სტატია აღწერს საქართველოში პრეზიდენტის ინსტიტუტის ფორმირებას. ნაშრომში განხილულია საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში ძლიერი აღმასრულებელი ხელისუფლების წარმოშობისა და განვითარების ძირითადი ეტაპები. ხელისუფლების ჩამოყალიბების პროცესი განხილულია პ. ბურდიეს თეორიული შეხედულებების ფარგლებში.

ნაშრომი მომზადებულია გაზეთებში გამოქვეყნებულ მასალებზე, სხვადასხვა კვლევებზე და შესაბამის სამართლებრივ დოკუმენტებზე დაყრდნობობით. მასალების ანალიზის დროს გამოყენებულია აღწერის, კონტენტ-ანალიზის, კრიტიკული მედია დისკურს ანალიზის მიდგომები. კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტის №FR-18-8649, სახელწოდება - „რა იგებს არჩევნებს საქართველოში“). სტატიაში გაანალიზებულია პრეზიდენტის ინსტიტუტის ფორმირების პროცესების ამიერკავკასიის ქვეყნებში. საქართველოში ძალაუფლებაზე ზემოქმედების რესურსებზე კონტროლისათვის ბრძოლაში ყველა ახალი ლიდერი ეიფორიისა და იმედის

ტალღზე მოდიოდა. საჭიროება ცვლილებებს აზერბაიჯანში 90-იან წლებში განაპირობებდა. სომხეთში ცვლილებებმა გამოკვეთილი სახე ბოლო წლებში მიიღო. საქართველოში ლიდერების ხელისუფლებაში მოსვლას კრიზისი და დაპირისპირება უძღოდა. ისინი ეფექტურად ცვლიდნენ პოლიტიკურ ველს. ზოგადად, ძლიერი საპრეზიდენტო უფლებამოსილების მიღწევა, სხვადასხვა სფეროების გადაფარვა და კონტროლის სურვილი ძირითადად კრიზისებამდე მიდიოდა, რომელსაც ხელისუფლების სპეციფიკური ცვლილება მოსდევდა. პრეზიდენტის ინსტიტუტი და მასთან დაკავშირებული პროცესები პიროვნული ინტერესების რეალიზაციის და ძალაუფლების განმტკიცების ინსტრუმენტს წარმოდგენდა, განსაკუთრებით არჩევნებზე ზემოქმედების კუთხით.

5. „ტრადიციული ელემენტები თანამედროვე ქორწილში“ (ბათუმის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)

ბათუმის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ვლინდება, რომ უკანასკნელ წლებში თანამედროვე საქორწილო ცერემონიალში საგრძნობლად შემცირდა ტრადიციული ელემენტები, რაც განპირობებულია მექორწილეთა სადაურობით (ბათუმელი, არაბათუმელი), რელიგიური აღმსარებლობითა და, განსაკუთრებით კი, ოჯახური ტრადიციით. ქართული ტრადიციული ქორწინებითი ინსტიტუტის მრავალფეროვნების მიუხედავად, თანამედროვე საქორწინო ურთიერთობები ერთგვარად შეიკუმშა დროსა და სივრცეში და მოხდა მისი ცალკეული ელემენტისა თუ ეტაპის გაერთიანება. მიუხედავად ამისა, მან შეინარჩუნა ქართული ეროვნული ქორწილისათვის დამახასიათებელი ძირითადი ელემენტები, რაც საქორწინო სისტემის მდგრადობისა და მისი აუცილებლობის მანიშნებელია.

6. „ეთნოგრაფიული დიდაჭარა: სამიწათმოქმედო ყოფა“ (ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის 1958 წლის პირველი სამეცნიერო ექსპედიციის მასალების მიხედვით)

1958 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის ჩანაწერებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დიდაჭარის სამეურნეო ცხოვრების, კერძოდ, სამიწათმოქმედო ყოფის ამსახველ მასალებს, რომლის საფუძველზეც დამოწმდა უძველესი მარცვლეული კულტურების (ხორბალი, ფეტვი, შვრია, ქერი, ცერცვი) მოვლა-მოყვანის ტრადიციულობა. ასევე, გამოვლინდა შრომის ორგანიზაციის ფორმები და მასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენათა არქაული პლასტები. დღემდე შემონახული სამეურნეო ტრადიციები და საკუთარი გამოცდილება მოსახლეობას აძლევდა იმის შესაძლებლობას, რომ დიდაჭარაში, როგორც, საერთოდ, მთიან აჭარაში, მისთვის მომგებიანი სამეურნეო საქმიანობა ეწარმოებინა მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის სიმბიოზური განვითარების გზით. 1958 წლის ეთნოგრაფიული ჩანაწერები, არსებული წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალების, ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური მონაცემების პარალელურად, ადასტურებს სოფელ დიდაჭარის უძველეს დასაყურადღებო წარსულ ისტორიას.

7. „სოციალურ-პოლიტიკური ვითარება ბათუმსა და შემოგარენში XIX საუკუნის 40-50-იანი წლების მიჯნაზე (ბრიტანეთის ვიცე-კონსულის – ჰოლმსის ცნობების მიხედვით)“

1846 წლის ივნისიდან 1852 წლის დეკემბრამდე (საკონსულოს გაუქმებამდე) ბათუმში დიდი ბრიტანეთის ვიცე-კონსულის თანამდებობაზე იმყოფებოდა უილიამ რიჩარდ ჰოლმსი, რომელმაც საინტერესო ცნობები შემოგვინახა აღნიშნული პერიოდის ბათუმისა და მისი შემოგარენის შესახებ. მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა (დანიშნვის დროისთვის ის სულ რაღაც 24 წლის იყო), მას ყურადღების მიღმა არ დარჩენია მის სამანდატო ტერიტორიაზე სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების არც ერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მომენტი.

ჰოლმსის ცნობებში გადმოცემულია მეტად საინტერესო და საყურადღებო საკითხები – მხარის მმართველობა, ურთიერთობა იერარქიული კიბის სხვადასხვა საფეხურზე მდგომ თანამდებობის პირთა შორის, მოსახლეობასთან ურთიერთდამოკიდებულება, ხალხის უკმაყოფილების მიზეზები, მღელვარებები და აჯანყებები, თანზიმათით შემოღებული ახალი წესრიგის რეალურ

ცხოვრებაში გატარების რეგიონული თავისებურებები, ლაზისტანში დისლოცირებული სახმელეთო და საზღვაო სამხედრო ძალები, ტიფის გავრცელება და ვითარება საზოგადოებრივი ჯანდაცვის კუთხით, ბათუმის საპატიმროს მდგომარეობა და სხვა.

ჰოლმსის ცნობები ბათუმის შესახებ ამოღებულია ბრიტანული საარქივო დოკუმენტებიდან, რომელთა მოძიება, შეკრება და გამოცემა უკავშირდება ჰ. გრინჰალჯისა (ლონ-დონი, 2003) და მ. შაშმაზის (ანკარა, 2014) სახელებს.

8. „საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლთა სამარხები ბათუმში“

ქ. ბათუმში, ფრ. ხალვაშის ქ. №338-ში მდებარე საბანაკო შეკრების ბაზა №3-ის ტერიტორიაზე აღმოჩნდა საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლთა სამარხები. 2017 წელს საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლების მიერ ხელისუფლების ნებართ-ვით სპეციალისტებმა გახსნეს აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული ოთხი სამარხი. 2020 წლიდან სამარხების შესწავლაში მონაწილეობას იღებდნენ წინამდებარე სტატიის ავტორებიც. ხელთ არსებულ მასალებზე (აღმოჩენილი არტეფაქტები, საბჭოთა მონეტები, ნეშტების სპეციფიკური პოზები – ზურგს უკან შეკრული ხელები, ნატყვიარები თავის ქალებში...) დაყრდნობით, ნაშრომში გამოთქმულია მოსაზრება, რომ საკვლევ სამარხებს არანაირი კავშირი არა აქვთ 1918-1921 წლებში აჭარაში დაღუპულ თურქ ჯარისკაცებთან (საზოგადოებაში არსებობს ასეთი ვერსიაც) და ისინი, დიდი ალბათობით, 1937-38 წლების რეპრესიის მსხვერპლთ ეკუთვნით.

სტატიაში, აგრეთვე, წარმოდგენილია სამარხებში აღმოჩენილი 17 მონეტის აღწერი-ლობა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

9. „ბათუმის სამკერვალო ფაბრიკის ისტორიისათვის“

ბათუმის სამკერვალო ფაბრიკის ისტორია 1927 წლიდან იწყება. იგი მაშინ სამკერვალო სახელოსნო იყო, რომლის ბაზაზე 1930 წელს ფაბრიკა დაარსდა. სამკერვალო ფაბრიკა ამზადებდა ქალის, მამაკაცის, ბავშვის ტანსაცმელს, სპეცხალათებს, თეთრეულს და სხვა პროდუქციას. 1960 წელს ფაბრიკამ 28 დასახელების პროდუქცია გამოუშვა.

ბათუმის სამკერვალო ფაბრიკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და სამრეწველო პერსონალის ფორმირების საქმეში პირველი ნაბიჯები ომამდელ პერიოდში გადაიდგა. 1934 წელს ფაბრიკა განთავსდა ახალ შენობაში. დაიდგა ახალი მარკის საკერავი მანქანები და სხვა ტექნიკა, შეიქმნა ინფრასტრუქტურა. 1940 წელს საერთო პროდუქციისა და სამრეწველო პერსონალის მიხედვით ბათუმის სამკერვალო ფაბრიკას აჭარის სამრეწველო საწარმოებს შორის მეორე ადგილი ეკავა.

სამამულო ომის წლებში ბათუმის სამკერვალო ფაბრიკა სამხედრო წარმოებაზე გადავიდა. მეომრებისთვის ამზადებდა სხვადასხვა სახის ტანსაცმელს. ომის დამთავრების შემდეგ თანდათანობით გაიზარდა სამოქალაქო პროდუქციის წარმოება. ომამდელი დონე აღდგა მხოლოდ 1955 წლისთვის, 1963 წელს ბათუმის სამკერვალო ფაბრიკა საწარმოო გაერთიანებად გარდაიქმნა, რამდენადაც მას შეუერთდა ბათუმის ტრიკაჟის ფაბრიკა. 70-იან წლებში მასთან გაერთიანდა ფოთისა და ლანჩხუთის სამკერვალო ფაბრიკები, დაბა ხულოში დაარსდა ფილიალი. საწარმო კიდევ მეტად გამსხვილდა. გაიზარდა ბათუმის სამკერვალო საწარმოო გაერთიანება მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პროდუქციის წარმოება, მომუშავეთა რაოდენობა.

10. „თანამედროვე ქართული ეროვნული მოძრაობა და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ქართული არაფორმალური პრესის მიხედვით“

ნაშრომში გადმოცემულია თანამედროვე ქართული ეროვნული მოძრაობის განვითარებისა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, კერძოდ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მიმდინარე

პროცესებზე მისი დიდი გავლენის შესახებ. სტატია უმთავრესად აგებულია უცხოეთში გადახვეწილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწეების, ემიგრანტების – ნ. ჟორდანიას, ა. ოდიშარიას, სპ. კედიას და სხვათა მოგონებებისა და უცხოეთში გამოცემული ნაშრომების მიხედვით, რომლებშიც განხილულია მათ ემიგრანტულ ნაშრომებში ასახული საქართველოსთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტი. გაკეთებულია მათი შინაარსიდან გამომდინარე სათანადო დასკვნები.

11. „ნოე ჟორდანიას პოლიტიკური პორტრეტისათვის“

სტატიაში განხილულია ნოე ჟორდანიას (1868-1953), ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწის, ქართველი სოციალ-დემოკრატების ლიდე რის, საქართველოს პირველი რესპუბლიკის (1918-1921) მთავრობის თავმჯდომარის პოლიტიკურ პორტრეტი. სამეცნიერო ლიტერატურის, დოკუმენტური და მემუარული (ნ.ჟორდანია, ვ.ნოზაძე, ა.ასათიანი, გ.გვაზავა, შ.ოდიშარია) მასალის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე თვალნათლივ ჩანს, რომ ნ.ჟორდანია და ქართველი სოციალ-დემოკრატები რუსეთში 1917წ. ოქტომბრის ბოლშევიკურ გადატრიალებამდე და ბოლშევიკების მიერ რუსეთის დამფუძნებელი კრების გარეკვამდე დაუნდობლად ებრძოდნენ საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის იდეას. 1918 წ. დამოუკიდებლობისთვის მხარდაჭერით ნ.ჟორდანია და ქართველი სოციალ-დემოკრატები მართალია გაემიჯნენ ბოლშევიკურ რუსეთს, მაგრამ ნ.ჟორდანია ბოლომდე დარჩა რუსეთის სოციალ-დემოკრატების მენშვიკური ფრთის ერთგულ ჯარისკაცად. ამ უკანასკნელზე მიგვითითებს მის მიერ ემიგრაციაში ყოფნის დროს გადაგმული არაერთი პოლიტიკური ნაბიჯი.

12. „ცხრა აპრილის ასახვა ბათუმურ სიტყვიერებაში“

ნაშრომში წარმოჩენილია ბათუმურ სიტყვიერებაში ასახული 1989 წლის 9 აპრილის თბილისის ტრაგედიის ნამდვილ ქართულ აღქმაში გატარებულ გრძნობათა სიალალე და ხალხური ხასიათი, მისი ჭეშმარიტი განცდანი. ხალხური პოეზიის ნიმუშებთან ერთად მოცემულია ბათუმელ სიტყვის ოსტატთა დამოკიდებულება ამ ზოგად-ქართული ტრაგედიისადმი და საერთოდ, ზოგად-ქართული სატკივარისადმი.

დასკვნაში განზოგადებულია, რომ სიტყვიერებაში და კერძოდ, ქართულ სიტყვიერებაში, ასეთი მოვლენებისადმი დამოკიდებულება მოკლებულია ყოველგვარ გაპრანჭვას, ალალად და ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე წარმოაჩენს სათქმელს და ამიტომაც უფრო სანდო და ხალასია. მისი მხატვრული ხარისხის ნაკლებობას აქ ავსებს გრძნობების ნამდვილობა და სიჯანსაღე, მათი ემოციური სრულყოფილება და სისავსე, ყოვლის-მომცველობა. საისტორიო ანალებში კი ძნელად შეხვდები, ასეთი ნაღდი გრძნობებით დატვირთულ და გადმოცემულ სინამდვილეს, ადვილად აღქმად, ნამდვილ სიურეალიზმს.

13. „ბათუმის „თამარის ციხის“ კონსერვაციისათვის (ხელოვნებათ-მცოდნეობითი კვლევის შედეგები ბათუმის „თამარის ციხის“ შესახებ)“

ბათუმის “თამარის ციხე“ წარმოადგენს ერთ-ერთ უძველეს ისტორიულ-არქეოლოგიურ ძეგლს ბათუმის შემოგარენში. ციხე არაერთხელ დაზიანდა და დღეს ნანგრევების სახითაა მოღწეული. ბოლო წლებში განხორციელებული რეკონსტრუქცია-რესტავრაციის პროცესების მიუხედავად, ბათუმის “თამარის ციხე“ დღემდე ინარჩუნებს ისტორიულ მნიშვნელობას, ავლენს კავშირს უძველესი პერიოდის კოლხურ დასახლებასთან, რომაულ-ბიზანტიურ და შუა საუკუნეების ქართულ საფორტიფიკაციო-სასიმაგრო სისტემებთან. ისტორიული, არქეოლოგიური, ხელოვნებათმცოდნეობითი მონაცემების გათვალისწინებით ჩანს, რომ ძეგლის კულტურული ღირებულების შენარჩუნებისთვის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს მისი გეგმარების,

აბრისის, ავთენტური ისტორიული ფორმების დაცვა, ნანგრევების შენარჩუნება რესტავრაცია-კონსერვაციის პრინციპით და ძეგლის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ტურისტული ადაპტაციისთვის.

14. **„ქართული კულტურის როლი უკრაინის ისტორიაში“**

ქართული კულტურის როლს უკრაინის ისტორიაში განაპირობებდა ქართველ მისიონერთა სასულიერო მოღვაწეობა და საქართველოს გეოგრაფიული საზღვრების სიახლოვე ქრისტიანულ ბიზანტიასთან, ბულგარეთთან და უკრაინასთან. ამ უკანასკნელს არ შეეძლო გარკვეული ურთიერთზემოქმედება არ მოეხდინა ამ ორი ქვეყნის კულტურულ ურთიერთობაზე, მით უფრო რომ IX-XII საუკუნეები როგორც უკრაინის, ისე საქართველოს კულტურის ისტორიაში ოქროს ხანად არის წარმოდგენილი. ქართული კულტურა უკრაინაში ორი გზით ვრცელდებოდა 1. შავიზღვისპირეთის მიწები, 2. ქართული კულტურის კერები ათონზე (ივერიონი) და პეტრიწონი ბულგარეთში. სწორედ სამონასტრო რელიგიურ საგანმანათლებლო გზით ვრცელდებოდა ქართულო კულტურა აღნიშნულ რეგიონებში.1094 წლით დათარიღებულ პეტრიწონის სააღაპო წიგნში მოხსენიებულნი არიან ,,სლავყოფილები” და მათ შორის უკრაინელები. უკრაინული ტრადიციები და წეს-ჩვეულებები ხშირ შემთხვევაში ქართულის იდენტურნი არიან. უკრაინული ,,კოლიადა” – სახალხო დღესასწაული, სიმღერით კარდაკარ სიარული გვახსენებს ქართულ ალილოს, რომელიც წმინდა ღვთაების საპატივცემულოდ იმართებოდა.

კიევის მღვიმეთა მონასტრის მამათა ცხოვრება გვაწვდის ყველაზე ადრინდელ ცნობებს ქართველების და უკრაინელებისკულტურული ურთიერთობების შესახებ XI საუკუნის მიწურულს. ქართულ-უკრაინული ისტორიული წყაროების (ქართლის ცხოვრება, კიეველი მემატიანე, ვოლინელი მემატიანე) საფუძველზე დადგენილია ქართველი და უკრაინელი ხალხის საერთო მტრის წინააღმდეგ ერთობლივიბრძოლის დამადასტურებელი ფაქტები. ასევე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ევროპელ მოგზაურთა ცნობები (პიეტრო დელა-ვალე, არქანჯელო ლამბერტი, ჟან-ბატისტ ტავერნიე და სხვ.).

XIX საუკუნეში, როცა საქართველო რუსეთის გუბერნია გახდა, უკრაინას არ გაუწყვეტია ურთიერთობა მეგობარ ქვეყანასთან. უკრაინელები განსაკუთრებით აქტიურობდნენ ბათუმში, რაც XX საუკუნის დასაწყისშიც.

ორი ქვეყნის კულტურულ ურთიერთობაში დიდი როლი შეასრულეს როგორც ქართველმა ისე უკრაინელმა ჰუმანისტებმა. მსოფლიო ლიტერატურაში ევროპეიზმის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა დავით გურამიშვილმა თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები მირგოროდში გაატარა, სადაც დღეს დავით გურამიშვილის სახელობის სამუზეუმო-სამეცნიერო კერა ფუნქციონირებს.XIX საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში მოღვაწეობდა ცნობილი უკრაინელი მათემატიკოსი ნიკოლოზ ივანესძე გულაკი. მან დიდი შრომა გასწია ქართული ენის შესწავლისა და პოპულარიზაციის მიზნით, რაზეც მიუთითებს მისი ნაშრომი ,,ქართული ენის ადგილი ინდოევროპულ ოჯახში''. ქართულ ენაზე ითარგმნა პეტრე მოგილას, დიმიტრი ტუფტალოს თხზულებები. ქართულ ენაზე თარგმნილ მსოფლიო ლიტერატურის 47 ტომში დაბეჭდილია ტარას შევჩენკოს, ლესია უკრაინკას, ივან ფრანკოს საუკეთესო ნაწარმოებები.

საქართველოსა დაუკრაინის კულტურული ურთიერთობები დღესაც გრძელდება. კიევში მოქმედებს არაერთი კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაცია, რომლებიც ეწევიან ქართული ენის და კულტურის პოპულარიზაციას.ასევე საქართველოში დიდ შრომას ეწევიან უკრაინელი ხალხის უძველესი კულტურის შესასწავლად.

15. **„ლონდონ-ბათუმის სავაჭრო-კოოპერაციულ-სააქციო საზოგადოება“**

ბათუმში პორტო-ფრანკოს დროს დამკვიდრებულ ევროპულ ქვეყნებთან თავისუფალ ვაჭრობას ხელი შეუწყო 1923 წელს დაარსებულმა ლონდონ-ბათუმის სავაჭრო-კოოპერაციულ-სააქციო საზოგადოებამ (Arcos Limited), რომლის რეზიდენცია განთავსებული იყო ბათუმში, ყოფილი კომაროვის, დღევანდელი დემეტრე თავდადებულის ქუჩაზე, №1-ში. სავაჭრო-კოოპერაციულ-სააქციო საზოგადოებას ბათუმის პორტის საშუალებით მსოფლიოს სხვადასხვა მიმართულებით გაჰქონდა სავაჭრო საქონელი, რითაც ბათუმის პორტი დიდ მოგებას ღებულობდა.

1925 წელს ფირმამ ,,LIB RA FRIESTINA ,,არკოს'' შესთავაზა რეგულარული ხაზი – შავი ზღვა-ამერიკა. ამავე ფირმის სურვილი იყო, ჩაერთოთ ჩრდილოეთ ამერიკისა და შავი ზღვის პორტებს შორის მიმოსვლაში პირველი კლასის გემები.

შავი ზღვის ბათუმის პორტი წარმოადგენდა ოკეანის მიღმა არსებული სახელმწიფოების დამაკავშირებელ საზღვაო გზას. აქ გადაზიდვებს აწარმოებდნენ საზღვაო-სავაჭრო საზოგადოებები:''მესაჟერ-მერიტიმი'', ,,ნ.ნ. პაკო და კ-ო", ჩრდილოეთ გერმანიის ,,ლოიდი-ბრემენი", ავსტრიის ,,ლოიდ" და ა.შ. რუსეთი ვაჭრობის სფეროში საქართველოსა და მსოფლიოს ქვეყნებს შორის შუამავლის როლს ასრულებდა. დღეს ამ საქმით ევროპული ქვეყნები არიან დაინტერესებულნი.

სტატიაში წარმოდგენილი საარქივო დოკუმენტური მასალა ნათლად წარმოაჩენს ბათუმის პორტის სავაჭრო-ეკონომიკურ და გეოსტრატეგიულ მნიშვნელობას. ამიტომაც როგორც აკადემიკოსი ლადო პაპავა აღნიშნავს, დიდი შეცდომა იყო ბათუმის პორტის პრივატიზაცია და მისი გასხვისება ყაზახეთზე. დღეს საქართველოს გაუჩნდა შანსი, დააინტერესოს ჩინეთის სავაჭრო კომპანიები, თავიათი ტვირთები გადაიტანონ ბათუმის პორტის გავლით, რის გაკეთება ანაკლიის პორტის გარეშეც შეიძლება.

16. **„პონტოს ლიმესი: რომაელები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში"**

პონტო-კავკასიის სასაზღვრო თავდაცვის სისტემამ ფუნქციონირება დაიწყო ვესპასიანეს (69-79) მმართველობის დროიდან, მას შემდეგ, რაც იმპერატორმა აღმოსავლეთის მთელი თავდაცვის ხაზის მოდერნიზაცია-რეორგანიზაცია მოახდინა. 72-76 წლებში რომის იმპერიის აღმოსავლეთ საზღვრების მთელ რეგიონებში დაიწყო რომაული გარნიზონების განთავსება. ვესპასიანეს მიერ შექმნილმა „კაპადოკიურმა კომპლექსმა", რომელშიც კოლხეთიც შედიოდა, მიიღო ორი ლეგიონი. ეს ლეგიონები განლაგდნენ კაპადოკია-მცირე სომხეთის ხაზზე, სათალასა და მელიტენეში.

სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ტრაპიზონი გახლდათ იმპერიის უმნიშვნელოვანესი სამხედრო-ეკონომიკური ცენტრი. 64 წლიდან აქ ჩადგა რომაული გარნიზონი „Classic Pontica". ამასთანავე, ტრაპიზონი გახლდათ იმპერიის თავდაცვის სისტემის ერთ-ერთი საწყისი პუნქტიაღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში - პონტო-კავკასიის სასაზღვრო ხაზზე, რომელიც მოიცავდა ტრაპიზონის, ჰისოსის, რიზეს, ათენას, აფსარუსის, ფაზისისა და სებასტოპოლისის კასტელუმებს.

პონტო-კავკასიური სასაზღვრო თავდაცვის სისტემის მეშვეობით, რომელიც წარმატებით ინარჩუნებდა რეგიონში სამხედრო და ეკონომიკურ სტაბილურობას III საუკუნის შუა ხანებამდე იარსება. ამ პერიოდში შეწყდა ჩრდილოკავკასიელი მომთაბარეების თავდასხმები კოლხეთსა და რომის სხვა პროვინციებზე; აღიკვეთა მეკობრეობა და ძარცვა; უზრუნველყოფილი იყო იმპერიის შორეული პროვინციების უსაფრთხოება და ადგილობრივი ტომებიც რომის რეალური კონტროლის ქვეშ მოექცნენ.

17. **„რომაული კულტები გონიო-აფსაროსში"**

ნაშრომში წარმოდგენილი და განხილულია რომაულ პერიოდში იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში, მათ შორის მცირე აზიასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, გავრცელებული წარმართული კულტები, რომელთაგან ყველაზე დიდი პოპულარობით სერაპისისა და იუპიტერ-დოლიქენუსის კულტები სარგებლობდა. ახ.წ. I საუკუნიდან სერაპისის კულტი აქტიურად ვრცელდება იმპერიის დასავლეთ რეგიონებში და ჩანს რომ, თვით იმპერიის ცენტრშიც იკიდებს ფეხს. გარდა ამისა, მეტად საინტერესოა სხვადასხვა მკვლევართა დაკვირვებაც, იმის შესახებ, რომ სერაპისის კულტს არაერთი პარალელი ეძებნება ძველქართულ წარმართულ პანთეონთან. თავის მხრივ, საინტერესოა გონიო–აფსაროსის ციხე–სიმაგრის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მონუმენტური ნაგებობის ნაშთები, რომელიც შესაძლებელია სერაპისის საკურთხეველს წარმოადგენდეს. ასევე აღსანიშნავია სერაპისის მინიატურული ქანდაკება, რომლის საკმაოდ ბევრი ანალოგია აღმოჩენილი რომაული ეპოქის სამხრეთ შავიზღვისპირა ცენტრებში (სინოპე, ამისო, ჰერაკლეა და ა.შ).

თავის მხრივ, კიდევ უფრო მეტ ინტერესს იწვევს იუპიტერ-დოლიქენუსის კულტის მინიატურული ქანდაკებები, რომელთა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი გონიო-აფსაროსში წარმოებული სამუშაოების შედეგადაა აღმოჩენილი. სავარაუდოა, რომ რომაულ ეპოქაში აფსაროსში მდგომ მცირე აზიიდან რეკრუტირებულ გარნიზონში ფართო რელიგიური აღმსარებლობის მქონე ჯარისკაცები მსახურობდნენ.

18. „ტაოს ქართულის ლექსიკიდან“

ტაოს ქართულიერთ-ერთი სამხრულ-დასავლური კილოთაგანია, რომელიც საინტერესო ლინგვისტურ სურათს გვიჩვენებს. აქაურთა მეტყველებაზე დიდ გავლენას ახდენს თურქული ენა. შესაბამისად, იცვლება ტაოს ლექსიკური ფონდი. თანდათან დავიწყებას ეძლევა ქართული სიტყვები ან მეტყველებაში ქართულის პარალელურად გამოიყენება თურქული სიტყვები. არის დიდი ალბათობა, რომ ამ მონაცვლე ფორმათა ჭიდილში თურქული სიტყვა დამკვიდრდეს. ლექსიკურ ერთეულთა აღნუსხვა-ანალიზი საშური და დროული საქმეა, რამეთუეს ლექსიკური ერთეულები საერთო ქართული ლექსიკის ნაწილია. მოხსენებაში რამდენიმელექსიკურ ერთეულზეა მსჯელობა. ლექსიკურ ფორმათა ანალიზისას ვეყრდნობით დიალექტოლოგიურიექსპედიციის დროს ჩვენ მიერ ჩაწერილ ტექსტებს და ვუდარებთ სამეცნიერო მიმოქცევაში არსებულ ტაოურ ტექსტებს.

ტაოს ლექსიკური ერთეულები ზოგჯერ ქართული სალიტერატურო ენის ქვესისტემათაგან განსხვავებულ მნიშვნელობას გვიჩვენებენ და იმავდროულად,კილოთასაერთო სემანტიკურ ველში ექცევიან.ნაშრომში განხილულია ლექსიკური ერთეულები: ტალი, ბალულა, კონკი, ხამი, ხვარათობს, თუთუნობა.

19. „რა ენა წახდეს“ (ქართული სალიტერატურო ენის აქტუალური საკითხები)

სტატია – „რა ენა წახდეს“ – ენის დამახინჯების ეროვნულ პრობლემას ეხება. ნაშრომში წარმოდგენილია ბათუმის მოსახლეობის მეტყველებისას გამოვლენილი გრამატიკული თუ ლექსიკური უზუსტობა, ქართული ენისათვის შეუფერებელი ფორმები. მეტყველებაში ვხვდებით წინადადებაში წინადადების წევრთა შეუთანხმებლობას, სიტყვათა რიგის აღრევას, სინტაქსურ თუ სტილისტურ ხარვეზს, უცხო ენიდან დამკვიდრებულ ლექსიკურ ერთეულებს. დამკვიდრებულია უცხო ენის უპირატესობა სარეკლამო ბანერებზე. აქაურთა მეტყველებაში გვხვდება უცხო ენიდან შემოსული ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლის შესატყვისი ქართულ ენასაც მოეპოვება (სეილი, მესიჯი, ბეიჯი და სხვა). საქართველოს სხვა ქალაქების ახალგაზრდების მსგავსად, ბათუმელ ახალგაზრდებშიც ხშირად ისმის სოციალური ქსელებიდან გადმოტანილი უცხოენოვანი ლექსიკური ერთეულები (შეარი, ლაიქი, სეივი, დაფორვარდება და

სხვა), რაც მჭიდროდ არის დაკავშირებული მეტყველების კულტურასთან. თითოეული უზუსტობა ხელს უწყობს უმართებულო და ქართულისთვის ხელოვნური ფორმების გავრცელებას, მათ დამკვიდრებას.

20. „ტოპონიმები დიდაჭარიდან“

ნაშრომში საუბარია დიდაჭარაში არსებულ ტოპონიმებზე: „ნაკაფისერი“, „ხუციქედი“,„დედოფლის გზა“, „ნასაყდრალი“, „საყდარი“, „ნაეკლესიარი“ და სხვ. არსებული ტოპონიმები ყურადსაღებია თავისი ეტიმოლოგიით.

21. „ბათუმური რეალიები შოთა ზოიძის პოეზიაში“

ნაშრომში გაანალიზებულია პოეტ შოთა ზოიძის კრებულში - ,,გულზე დასაყრელი მიწა“ - წარმოდგენილი ლექსები.

22. „სათუთა და დედიფერა“ (მასალები რძისა და რძის ნაწარმის დამზადების ლექსიკიდან ზემო აჭარაში)

მესაქონლეობა ძველთაგანვე მაღალმთიანი აჭარის მეურნეობის ერთ–ერთი ძირითადი და წამყვანი დარგია. შესაბამისად, რძესა და რძის პროდუქტებს, აჭარის საოჯახო ეკონომიკაში, ისევე, როგორც საქართველოს სხვა მთიან რეგიონებში, წამყვანი ადგილი ეჭირა. ნაშრომში წარმოდგენილია რძესა და რძის პროდუქტების დამზადებასთან დაკავშირებული ლექსიკური მასალა, რომელიც ნათლად წარმოაჩენს სამეურნეო ყოფის ამ დარგის უმდიდრეს ლექსიკას.ნაშრომში წარმოდგენილი ლექსიკური ერთეულები მრავალმხრივაა საინტერესო. მათ ნაწილს სათავეები ძველსა თუ საშუალო ქართულში აქვთ; საყურადღებოა სიტყვათა ის ნაწილიც, რომელიც ამ რეგიონში ფიქსირდება და ნაკლებადაა ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურისათვის; რძისა და რძის ნაწარმის დამზადების ზემოაჭარულ ლექსიკაში გამოიყოფა საინტერესო გამოთქმები, რომლებიც ხატოვნად ასახავენ იმ შრომატევად სამუშაოს, რაც ამ დარგთანაა დაკავშირებული და ა.შ. ამ ერთი დარგის ამსახველი ლექსიკური მასალიდან კარგად ჩანს, რა მდიდარი და მრავალფეროვანია აჭარული დიალექტის ლექსიკა.

23. „ზღვაოსნობა-თევზჭერის ტრადიციებთან დაკავშირებული ზოგიერთი ლექსიკური ერთეულის შესახებ“

ზღვაოსნობა-თევზჭერის ტრადიციები ლაზებმა დღემდე შემოინახეს. მეურნეობის ამ დარგთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიას გარკვეული ადგილი უჭირავს ლაზურ ლექსიკაში. გვხვდება ისეთი ტერმინებიც, რომლებიცნაკლებად ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში: ქვაპაჯი ანუ მზოღაპაჯი, ნიში, აპლადი, პარაპათი, მეზგითი ...

ლაზთა ზღვაოსნობის ხანგრძლივი ისტორიის მიუხედავად, ლაზურში გვხვდება სხვა ენებიდან ნასესხები ტერმინებიც (დაგა, სანდალი, ფელენგი....). უნდა აღინიშნოს, რომ სახელწოდებების სხვა ენებიდან დასესხება ზღვაოსნობაში მარტო ქართველურ ენათათვის არ არის დამახასიათებელი.მსოფლიოს მრავალი ხალხის ენაში ზღვაოსნობის ტერმინთადიდი ნაწილი არისშემოსული იმ ხალხთა ენებიდან, რომლებიც ამა თუ იმ ეპოქაში ზღვაოსნობაში იყვნენ დაწინაურებულნი.

7. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

7.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

2.

7.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

2.

7.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI; ჟურნალის/კრებულის დასახელება დანომერი/ტომი ISSN-ის მითითებით; გვერდების რაოდენობა

1. **Ruslan Baramidze,** Maia Bolkvadze; „The Presidential Institute in Georgia: Subjective Understanding of Political Needs and Institutional Transformations"; https://doi.org/10.4236/ojps.2022.123027; Open Journal of Political Science, 2022, 12, ISSN Online: 2164-0513, ISSN Print: 2164-0505, გვ. 457-493

2. Maia Bolkvadze, **Ruslan Baramidze;** "IMAGE OF VOTERS" IN THE PRE-ELECTION CAMPAIGNS OF PRESIDENTIAL CANDIDATES IN GEORGIA: SOCIETY, PEOPLE, NATION; DOI: https://doi.org/10.31435/rsglobal_ijitss/30092022/7857; International Journal of Innovative Technologies in Social Science: No 3(35) (2022), p-ISSN: 2544-9338, e-ISSN: 2544-9435; https://rsglobal.pl/index.php/ijitss/article/view/2398/2063

3. **Nargiz Akhvlediani**, Diana Akhvlediani, Nana Khocholava-Machavariani, „FOR THE ETYMOLOGY OF SEVERAL TOPONYMS IN GEORGIAN HISTORICAL SOURCES", INTERNATIONAL ACADEMIC INSTITUTE IAI ACADEMIC CONFERENCE PROCEEDINGS International Academic Conferences, Vienna Academic Conference 21 June 2022, pp. 113-116. https://ia-institute.com/wp-content/uploads/2022/10/IAI-Vienna-Proceedings-final.pdf

4. **Nargiz Akhvlediani,** Diana Akhvlediani, Nana Khotcholava-Matchavariani, Tamar Siradze, „ZAN SUBSTRATUM IN WESTERN GEORGIAN PHYTOTOPONYMS", INTERNATIONAL ACADEMIC INSTITUTE IAI ACADEMIC CONFERENCE PROCEEDINGS International Academic Conferences, Rome Academic Conference 19 September 2022, pp. 41-47. https://ia-institute.com/wp-content/uploads/2022/11/IAI-Rome-2022-Proceedings.pdf

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. **„The Presidential Institute in Georgia: Subjective Understanding of Political Needs and Institutional Transformations"**

   სტატია ეხება საქართველოში პრეზიდენტის ინსტიტუტის ფორმირების სპეციფიკას. ნაშრომში განხილულია საქართველოში აღმასრულებელი ხელისუფლების წარმოშობისა და განვითარების ძირითადი ეტაპები. 2010 წლის ცვლილებების შემდეგ, საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად, აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური პრემიერ-მინისტრის გახდა, ხოლო პრეზიდენტის უფლებამოსილება საგრძნობლად შეიკვეცა. ამიტომ,პრეზიდენტის ინსტიტუტი შესწავლილია ზ. გამსახურდიას, ე. შევარდნაძის და მ. სააკაშვილის მმართველობის პერიოდების მიხედვით. ხელისუფლების ჩამოყალიბების პროცესი განხილულია პ. ბურდიეს სოციალური კაპიტალის და

სოციალური ველის თეორიის ფარგლებში. ანალიზის პროცესში ყურადღება ეთმობა კონტექსტს, პიროვნების კაპიტალის მნიშვნელობას, სოციალურად მნიშვნელოვან აგენტებთან ურთიერთქმედებას, პიროვნული ძალაუფლების გაზრდისათვის გადადგმულ ნაბიჯებს, მედია კონტენტის ფორმირებას და პროცედურული ცვლილებების გავლენას ინსტიტუციონალურ მდგრადობაზე.

2. "IMAGE OF VOTERS" IN THE PRE-ELECTION CAMPAIGNS OF PRESIDENTIAL CANDIDATES IN GEORGIA: SOCIETY, PEOPLE, NATION

ნაშრომი მიზნად ისახავს სამი საპრეზიდენტო კანდიდატის - ზ.გამსახურდიას, ე. შევარდნაძის და მ. სააკაშვილის წინასაარჩევნო კამპანიაში ამომრჩეველთა სახის აგების თავისებურებების წარმოჩენას. ამომრჩევლები თავიანთ გამოსვლებში წარმოდგენილი იყვნენ როგორც საზოგადოება, ხალხი, მოქალაქეები, ასევე ქართველი ხალხი ან ერი. არჩევნებში წარმატების მისაღწევად, პოლიტიკოსები ცდილობენ (და უნდა) დაერწმუნებინათ ამომრჩეველი მათი პოლიტიკის, პრობლემების ხედვის შესაბამისობაში და რომ ისინი სთავაზობენ საუკეთესო გადაწყვეტას – მოქალაქეებს, ხალხს და ერს. დასახული მიზნის მისაღწევად, საპრეზიდენტო კანდიდატებმა საქართველოში იყენებდნენ ლოგიკურ მიზეზებს, ასევე ცნობილ სიმბოლოებს, ემოციურ გამოსახულებებს, სხვადასხვა რიტორიკულ სტრატეგიებს - რაც შეესაბამებოდა შესაბამისი პერიოდის დისკურსს, სადაც ძირითადი აქცენტი კეთდებოდა ეროვნულ თავისუფლებაზე, სამოქალაქო ერთობაზე, რეფორმების გატარებაზე და ა.შ. ამდენად, კანდიდატების წინასაარჩევნო ტექსტების სამიზნე იყო ხალხი (მოქალაქეები, ერი) და არჩევნების შედეგები იყო ხალხის (მოქალაქეები, ერი) ნებისა და სურვილის გამოხატვა. შესაბამისად, „ამომრჩევლის სახე" აქტუალური გამოწვევებისა და სურვილების გავლენით ფორმირდებოდა. კვლევის შედეგები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ამომრჩეველთა საარჩევნო პროცესებში მონაწილეობის აუცილებლობის დასაბუთება არის ქართული პოლიტიკური დისკურსის ერთ-ერთი ფუნდამენტური ელემენტი, რადგან ზემოაღნიშნული ხერხი სამივე საპრეზიდენტო კანდიდატის გამოსვლებში ჩნდებოდა. მეორეს მხრივ, თავად კანდიდატები ქმნიდნენ ამომრჩევლის სახეს - ვინ იყო ამომრჩეველი (როგორც ჯგუფი, შესაბამისი თავისებურებებით, თვისებებით და საჭიროებებით - ყველაზე კარგად პრეზიდენტობის კანდიდატები ხედავენ). ხალხთან ერთიანობის მიღწევის გზით საკუთარი თავის თემის ლიდერებად წარმოჩენის გზით, კანდიდატებმა თავიანთი ქმედებების ლეგიტიმაციას ახდენდნენ, რადგან ისინი, როგორც „ხალხის მიერ უფლებამოსილნი" უკეთ იცნობდნენ პრობლემებს.

3. „FOR THE ETYMOLOGY OF SEVERAL TOPONYMS IN GEORGIAN HISTORICAL SOURCES"

ქართული ისტორიული წყაროები ტოპონიმთა მეტად მდიდარ მასალას წარმოგვიდგენს, ხოლო მათი შესწავლა ქართველოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ნაშრომში მიმოვიხილავთ შემდეგ საისტორიო წყაროებს: ,,ქართლის ცხოვრებას" და ,,ტბეთის სულთა მატიანეს". წარმოვადგენთ ამ ისტორიულ წყაროებში დადასტურებულ ტოპონიმთა სტრუქტურულ-სემანტიკურ ანალიზს. საანალიზოდ წარმოგიდგენთ ჩვენ მიერ ქართულ ისტორიულ წყაროებში დაფიქსირებულ რამდენიმე ტოპონიმს. სტატიაში გავაანალიზებთ ისტორიულ ტოპონიმთა ეტიმოლოგიისა და მათი სახელდების მოტივაციის ჩვენეულ ხედვას. ისტორიული წყაროებიდან მოვიყვანთ მათი არსებობის დამადასტურებელ დოკუმენტურ მასალებს. ქართულ ისტორიულ წყაროებში დაფიქსირებული ტოპონიმების განხილვით ვიკვლევთ არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის წარსულს დაისტორიას, არამედ მის მომავალსაც.

4. „ZAN SUBSTRATUM IN WESTERN GEORGIAN PHYTOTOPONYMS"

ქართული ენის კილოებში - აჭარულ-გურულსა და იმერულში, განსაკუთრებით ლექსიკასა და ტოპონიმიკაში, დიდი რაოდენობით შემონახულია მეგრულ-ლაზური ელემენტები (ზანიზმები). ეს აიხსნება არა ტერიტორიული სიახლოვითა და გავლენით, არამედ ზანური სუბსტრატით. რაც შეეხება [ზანურ] ტოპონიმიკურ სუბსტრატს, ის არის ენათა შერევის შედეგად დამარცხებული (უცხო ან მონათესავე) ენის კვალი გამარჯვებული ეთნოსის ტოპონიმიაში. ასე მაგ.: ზანური სუბსტრატი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიაში; სვანური სუბსტრატი მთიანი სამეგრელოს ტოპონიმიაში. ადრინდელი მოსახლეობის მიერ შექმნილი გეოგრაფიული

სახელწოდება, რომელიც შეითვისა ამ რეგიონში შემდეგ მოსულმა და დამკვიდრებულმა ეთნოსმა, სუბსტრატული ტოპონიმი, ხშირად ისეა გათავისებული მიმღები ენის მიერ, რომ მისი „უცხოობა“ არ იგრძნობა. იგი ძნელი საეტიმოლოგიოა. ამჯერად წარმოგიდგენთ მცენარეთა სახელებიდან მომდინარე რამდენიმე ფიტოტოპონიმის სტრუქტურულ-სემანტიკური კვლევის ჩვენეულ ახსნას.

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8.1. საქართველოში

მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **ნოდარ კახიძე, როინ მალაყმაძე, ამირან კახიძე,** „ბათუმი - შავიზღვისპირეთის უძველესი ქალაქი-ნავსადგური და მისი როლი რეგიონის ზღვაოსნობის და ნაოსნობის განვითარებაში“; 5-6 ივლისი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“-I, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

2. **ნოდარ კახიძე,** „თედო სახოკიას ბათუმელი მეგობრები“, 21-22 მაისი, საერთაშორისო სამეცნიერო ონლაინ-კონფერენცია „ბათუმი - წარსული და თანამედროვეობა“-XII, ორგანიზატორები: ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტის სამი მსოფლიო მონოთეისტური რელიგიის (იუდაიზმი, ქრისტიანობა და ისლამი) და კანონიკური სამართლის შესწავლისა და კვლევის ცენტრი (რუმინეთი).

3. **რუსლან ბარამიძე,**მაია ბოლქვაძე; „პრეზიდენტის ინსტიტუტის ჩამოყალიბება საქართველოში და სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებში“; „გარემო და საზოგადოება“; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის X საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია; 23-25 ივნისი, თბილისი

4. **თამილა ლომთათიძე,** „ტრადიცია, როგორც ეროვნული იდენტობის მარკერი თურქეთის ქართველებში“, 5-6 ივლისი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“-I, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

5. **თამილა ლომთათიძე,** „სიმბოლო-ნიშანთა სემანტიკა აჭარის ეთნოკულტურაში (ჯვარი)“, 14-15 დეკემბერი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მუზეუმი და გლობალიზაცია“, II, ბათუმი.

6. **ნაილა ჩელებაძე,** „ტრადიციული ელემენტები თანამედროვე ქორწილში (ბათუმის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), 21-22 მაისი, საერთაშორისო სამეცნიერო ონლაინ-კონფერენცია „ბათუმი - წარსული და თანამედროვეობა“-XII, ორგანიზატორები: ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტის სამი მსოფლიო მონოთეისტური რელიგიის (იუდაიზმი, ქრისტიანობა და ისლამი) და კანონიკური სამართლის შესწავლისა და კვლევის ცენტრი (რუმინეთი).

7. **ნაილა ჩელებაძე,** „ეთნოგრაფიული დიდაჭარა: სამიწათმოქმედო ყოფა (ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის 1958 წლის პირველი სამეცნიერო ექსპედიციის მასალების მიხედვით)“. 12 მაისი, ღვთისმშობლის წილხვდომილობა - სამეცნიერო რესპუბლიკური კონფერენცია - ააიპ ბათუმის კულტურის ცენტრი, ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი.

8. **ნაილა ჩელებაძე,** ჯელო ჩელებაძე, „აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მოსახლეობა და ბიოგარემო ჰიპოკრატესმიხედვით“ („ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ“), 5-6 ივლისი,

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“-I, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

9. **ოლეგ ჯიბაშვილი,** ირაკლი ბარამიძე, ხათუნა დიასამიძე; „სოციალურ-პოლიტიკური ვითარება ბათუმსა და შემოგარენში XIX საუკუნის 40-50-იანი წლების მიჯნაზე (ბრიტანეთის ვიცე-კონსულის – ჰოლმსის ცნობების მიხედვით)“; 27-28 მაისი, საერთაშორისო სამეცნიერო ონლაინ-კონფერენცია „ბათუმი - წარსული და თანამედროვეობა“-XII, ორგანიზატორები: ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტის სამი მსოფლიო მონოთეისტური რელიგიის (იუდაიზმი, ქრისტიანობა და ისლამი) და კანონიკური სამართლის შესწავლისა და კვლევის ცენტრი (რუმინეთი).

10. **ოლეგ ჯიბაშვილი, ირინე ვარშალომიძე;** „საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლთა სამარხები ბათუმში“; 21-22 მაისი, საერთაშორისო სამეცნიერო ონლაინ-კონფერენცია „ბათუმი - წარსული და თანამედროვეობა“-XII, ორგანიზატორები: ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტის სამი მსოფლიო მონოთეისტური რელიგიის (იუდაიზმი, ქრისტიანობა და ისლამი) და კანონიკური სამართლის შესწავლისა და კვლევის ცენტრი (რუმინეთი).

11. **ოლეგ ჯიბაშვილი,** ირაკლი ბარამიძე, ხათუნა დიასამიძე; „დიდი ბრიტანეთის ვიცე-კონსულის ფრედერიკო გუარაჩინოს ცნობები ვაჭრობისა და ნაოსნობის შესახებ ბათუმში (1840-184 5)“, 5-6 ივლისი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“-I, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

12. **ოთარ თურმანიძე;** „ბათუმის სამკერვალო ფაბრიკის ისტორიისათვის“, 21-22 მაისი, საერთაშორისო სამეცნიერო ონლაინ-კონფერენცია „ბათუმი - წარსული და თანამედროვეობა“-XII, ორგანიზატორები: ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტის სამი მსოფლიო მონოთეისტური რელიგიის (იუდაიზმი, ქრისტიანობა და ისლამი) და კანონიკური სამართლის შესწავლისა და კვლევის ცენტრი (რუმინეთი).

13. **ოთარ თურმანიძე;** „ახალგაზრდობის ორგანიზაციები აჭარაში 1917-1930 წლებში“, 5-6 ივლისი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“-I, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

14. **უჩა ოქროპირიძე;** „ცხრა აპრილის ასახვა ბათუმურ სიტყვიერებაში“, 21-22 მაისი, საერთაშორისო სამეცნიერო ონლაინ-კონფერენცია „ბათუმი - წარსული და თანამედროვეობა“-XII, ორგანიზატორები: ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტის სამი მსოფლიო მონოთეისტური რელიგიის (იუდაიზმი, ქრისტიანობა და ისლამი) და კანონიკური სამართლის შესწავლისა და კვლევის ცენტრი (რუმინეთი).

15. **უჩა ოქროპირიძე;** „თანამედროვე ქართული ეროვნული მოძრაობა და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ქართული არაფორმალური პრესის მიხედვით“, 5-6 ივლისი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“-I, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

16. **გიორგი თავამაიშვილი;** „ყალიონის ჯამები პეტრა-ციხისძირიდან“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში-

IV“, 2-4 დეკემბერი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_17092_6.pdf?fbclid=IwAR2xd

17. **გიორგი თავამაიშვილი;** „ოსმალური კერამიკის ერთი ჯგუფი საქართველოს ზღვისპირა ციხე-სიმაგრეებიდან“, 5-6 ივლისი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“-I, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

18. **მაია ჭიჭილეიშვილი;** „ბათუმის „თამარის ციხის“ კონსერვაციისათვის (ხელოვნებათ-მცოდნეობითი კვლევის შედეგები ბათუმის „თამარის ციხის“ შესახებ)“, 21-22 მაისი, საერთაშორისო სამეცნიერო ონლაინ-კონფერენცია „ბათუმი - წარსული და თანამედროვეობა“-XII, ორგანიზატორები: ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტის სამი მსოფლიო მონოთეისტური რელიგიის (იუდაიზმი, ქრისტიანობა და ისლამი) და კანონიკური სამართლის შესწავლისა და კვლევის ცენტრი (რუმინეთი).

19. **მაია ჭიჭილეიშვილი;** „მაჭახლის ხეობის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები“, 5-6 ივლისი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“-I, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

20. **ირინე ვარშალომიძე,** ნინო ძნელაძე; „გირეების დინასტიის მონეტები აჭარის მუზეუმის კოლექციიდან“, 27 მაისი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „შავიზღვისპირეთის ქვეყნების არქეოლოგია და კულტურა: მიღწევები, თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები“, ორგანიზატორები: სუმის ა. ს. მაკარენკოს სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი (უკრაინა), ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

21. **ირინე ვარშალომიძე,** ნინო ძნელაძე; „ისლამური ნუმიზმატიკური ძეგლები ციხისძირიდან“, 18 აპრილი, III საერთაშორისო სემინარი თემაზე: ,,შავიზღვისპირეთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეალური მდგომარეობა, პრობლემები და პერსპექტივები“,აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო.

22. **ირინე ვარშალომიძე,** „ადრეული კესარიული დრაქმა ფიჭვნარიდან“, 5-6 ივლისი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“-I, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

23. **მერაბ მეგრელიშვილი;** „ანტირუსული მოძრაობა გურია-აჭარაში XX საუკუნის პირველ ოცწლედში“, 2-5 დეკემბერი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში“, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

24. **მერაბ მეგრელიშვილი,** ნიკოლოზ მეგრელიშვილი; „ლონდონ-ბათუმის სავაჭრო-კოოპერაციულ-სააქციო საზოგადოება“, 21-22 მაისი, საერთაშორისო სამეცნიერო ონლაინ-კონფერენცია „ბათუმი - წარსული და თანამედროვეობა“-XII, ორგანიზატორები: ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტის სამი მსოფლიო მონოთეისტური რელიგიის (იუდაიზმი, ქრისტიანობა და ისლამი) და კანონიკური სამართლის შესწავლისა და კვლევის ცენტრი (რუმინეთი).

25. **მერაბ მეგრელიშვილი;** „რუსეთისა და თურქეთის ინტერესები შავ ზღვაზე გაბატონებისთვის და ბათუმი-ფოთის პორტების სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულება“, 5-6 ივლისი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“- I, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

26. **სულხან მამულაძე,** რადოსლავ კარასიევიჩ-სციპიორსკი; „პონტოს ლიმესი: რომაელები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში“, 21-22 მაისი, საერთაშორისო სამეცნიერო ონლაინ-კონფერენცია „ბათუმი - წარსული და თანამედროვეობა“-XII, ორგანიზატორები: ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტის სამი მსოფლიო მონოთეისტური რელიგიის (იუდაიზმი, ქრისტიანობა და ისლამი) და კანონიკური სამართლის შესწავლისა და კვლევის ცენტრი (რუმინეთი).

27. **სულხან მამულაძე;** „რომაული გარნიზონები სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში“, 5-6 ივლისი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“-I, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

28. **სულხან მამულაძე;** „ადრეული ბიზანტიური ეკლესიები აჭარის ზღვისპირეთიდან“, EU4Dialogue: Archaeology - Archaeological Workshop; 25-26 ოქტომბერი, თბილისი, გოეთეს ინსტიტუტი.

29. **ელზა ფუტკარაძე,** „ზურაბ გორგილაძის შემოქმედების ზოგიერთი სტილური თავისებურება“, 5-6 ივლისი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“-I, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

30. **ელზა ფუტკარაძე, როინ მალაყმაძე,** „კონსტანტინე ოდიშარიას არტაანში მოგზაურობის დღიურების მნიშვნელობისათვის“ (სტამბულის ქართული სავანის მასალების მიხედვით), 5-6 ივლისი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“-I, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

31. **ელზა ფუტკარაძე, როინ მალაყმაძე,** „ბატონი სიმონ ზაზაძე - პიროვნება და საზოგადო მოღვაწე“, 11-12 ოქტომბერი, ქართული დიასპორის საერთაშორისო კონფერენცია, II, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

32. **ელზა ფუტკარაძე,** „ნამჭრელთან“ დაკავშირებული ლექსიკისათვის აჭარულში“, 15-16 დეკემბერი, XV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „განათლება, მეცნიერება, ინოვაციები პოსტ-პანდემიურ პერიოდში“, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

33. **ელზა ფუტკარაძე,** „ტაოს ქართულის ლექსიკიდან“, 26-27 ნოემბერი, 42-ერესპუბლიკური დიალექტოლოგიურისამეცნიერო კონფერენცია,გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

34. **ნაილე მიქელაძე,** „ქვის სიმბოლიკის ზოგიერთი საკითხის გააზრებისთვის აჭარის ფოლკლორში“, 15-16 დეკემბერი, XV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „განათლება, მეცნიერება, ინოვაციები პოსტ-პანდემიურ პერიოდში“, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

35. **ნაილე მიქელაძე, „**უძველეს წესთან დაკავშირებული საკითხის გააზრებისათვის აჭარის ფოლკლორში“ (საარქივო და საველე მასალების მიხედვით), 2-4 დეკემბერი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

36. **ნაილე მიქელაძე,** „შელოცვებთან დავშირებული ზოგიერთი საკითხის გააზრებისათვის აჭარის ფოლკლორში“, 5-6 ივლისი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“-I, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

37. **ნაილე მიქელაძე,** „ტოპონიმები დიდაჭარიდან“, 12 მაისი, წილხვდომილობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია,ბათუმისმერია.

38. **ნაილე მიქელაძე,** „ბათუმური რეალიები შოთა ზოიძის პოეზიაში“, 21-22 მაისი, საერთაშორისო სამეცნიერო ონლაინ-კონფერენცია „ბათუმი - წარსული და თანამედროვეობა“-XII, ორგანიზატორები: ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტის სამი მსოფლიო მონოთეისტური რელიგიის (იუდაიზმი, ქრისტიანობა და ისლამი) და კანონიკური სამართლის შესწავლისა და კვლევის ცენტრი (რუმინეთი).

39. **ნარგიზ ახვლედიანი,** „ფიტოტოპონიმთა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი ლინგვო კულტუროლოგიურ სივრცეში“, 5-6 ივლისი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“-I, ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი.

40. **ნარგიზ ახვლედიანი,** „ერთი ლექსიკური ერთეულის განმარტებისათვის“, 13-15 ოქტომბერი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.

41. **ნარგიზ ახვლედიანი,** ,,მსხლის ჯიშები აჭარულში“, 29-30 ოქტომბერი, თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

42. **ნარგიზ ახვლედიანი,** ,,რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული ერთი ტოპონიმის განმარტებისათვის“, 26-27 ნოემბერი, 42-ერესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო კონფერენცია, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

43. **ნარგიზ ახვლედიანი,** „ერთი კომპოზიტური ტოპონიმის განმარტებისათვის“, 9-10 დეკემბერი, სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ახალციხე.

44. **ნარგიზ ახვლედიანი,** „ერთი ჩერქეზული გვარის ისტორიისათვის“, 15-17 დეკემბერი, ჩერქეზული-(ადიღეური) კულტურის ცენტრი, თბილისი.

45. **ნარგიზ ახვლედიანი,** „დაკარგული გეოგრაფიული სახელწოდებები ბათუმის შემოგარენში“, 19 დეკემბერი, გეოგრაფიული საზოგადოება, თბილისი.

46. **ნარგიზ ახვლედიანი**, „უძველესი კოლხური ძეგლების ინტერდისციპლინარული კვლევის ცდა და მისი პირველი შედეგები“, 20-22 დეკემბერი, თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

47. **ციალა ნარაკიძე,** „ზოგიერთისაწესჩვეულებოლექსიკური ერთეული ლაზურში“, 5-6 ივლისი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“-I, ბათუმის შოთა რუსთაველისსახელმწიფო უნივერსიტეტი.

48. **ციალა ნარაკიძე,** „თევზჭერის ტრადიციებთან დაკავშირებული ზოგიერთი ლექსიკური ერთეულის შესახებ“, 26-27 ნოემბერი, 42-ერესპუბლიკური დიალექტოლოგიურისამეცნიერო კონფერენცია,გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

49. **ციალა ნარაკიძე,** „ერთი ლაზური გამონათქვამისათვის (ოშანა)“, 15-16 დეკემბერი, XV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „განათლება, მეცნიერება, ინოვაციები პოსტ-პანდემიურ პერიოდში“,გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

50. **ნანული ნოღაიდელი,** „სათუთა და დედიფერა (მასალები რძისა და რძის ნაწარმის დამზადების ლექსიკიდან ზემო აჭარაში)“, 26-27 ნოემბერი, 42-ე რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო კონფერენცია, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

51. **ნანული ნოღაიდელი,** „კომპოზიტები აჭარული დიალექტის ლექსიკაში“, 5-6 ივლისი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“-I, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

52. **ცისნამი ბერიძე,** „ლექსიკური ერთეულები და ხატოვანი სიტყვა-თქმანი დანდალოს ხეობის მეტყველებიდან“, 10-11ივნისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

53. **ცისნამი ბერიძე,** „რა ენა წახდეს“, 21-22 მაისი, საერთაშორისო სამეცნიერო ონლაინ-კონფერენცია „ბათუმი - წარსული და თანამედროვეობა“-XII, ორგანიზატორები: ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტის სამი მსოფლიო მონოთეისტური რელიგიის (იუდაიზმი, ქრისტიანობა და ისლამი) და კანონიკური სამართლის შესწავლისა და კვლევის ცენტრი (რუმინეთი).

54. **ჯემალ ვარშალომიძე,** „საცხოვრებლის ტიპი ხელვაჩაურიდან“, 5-6 ივლისი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“-I, ბათუმის შოთა რუსთაველისსახელმწიფო უნივერსიტეტი.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

1. **„ბათუმი - შავიზღვისპირეთის უძველესი ქალაქი-ნავსადგური და მისი როლი რეგიონის ზღვაოსნობის და ნაოსნობის განვითარებაში“**

ძველი ბერძნულ-რომაული წყაროების, ძველი ბათუმისა და მის ახლო მდებარე ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ნივთიერი მასალების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე ნაშრომში დადგენილია, რომ ბათუმი შავიზღვისპირეთის უძველესი ქალაქი ნავსადგურია, რომელიც 2500 წლის ისტორიას ითვლის. ნაშრომში დასმულია საკითხი ქალაქ ბათუმის დაარსების 2500 წლისთავის იუბილეს ჩატარებაზე საერთაშორისო მასშტაბით,სადაც მოწვეული იქნებიან მეცნიერული ძალები შავიზღვისპირა

ქვეყნებიდან, აგრეთვე შორეული საბერძნეთიდან ანუ არგონავტების ქვეყნიდან, რომლის ძველი სწავლულების წერილობითი ცნობების საფუძველზე იქნა პირველად დადგენილი ბათუმის როგორც შავიზღვისპირეთისა და ძველი მსოფლიოს უძველესი ქალაქ-ნავსადგურის დაარსების ისტორია. ამგვარი მეცნიერული ღონისძიების ჩატარება კიდევ უფრო გაზრდის 2500 წლოვანი ქალაქ ბათუმისა და აჭარის ცნობადობას საერთაშორისო მასშტაბით და ტურისტ-დამსვენებელთა დაინტერესებას. რაც სამომავლოდ ქალაქისა და მთელი რეგიონის ბიუჯეტის შევსების მნიშვნელოვანი წყაროც გახდება.

2. **დაბეჭდილია**

3. **დაბეჭდილია**

4. **„ტრადიცია, როგორც ეროვნული იდენტობის მარკერი თურქეთის ქართველებში“**
   მოხსენებაში განხილულია ტრადიცია, როგორც სიმბოლო, რომლის გარშემო გაერთიანებაც უქმნის უცხო გარემოში მცხოვრებ ჯგუფს თავის ეთნოსთან ერთობის განცდას. ტრადიციაში შენახულია კოლექტიური მეხსიერების ხატები, ვლინდება კოლექტიური კულტურული იდენტობა. მოხსენებაში შესწავლილია თურქეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველების ყოფაში შემორჩენილი ქართული ტრადიციული ყოფისათვის დამახასიათებელი ტრადიციები, რომლებიც იძლევიან�огорც ინდივიდის, ისე ჯგუფის იდენტიფიცირების, მის გარშემო და მისი მეშვეობით გაერთიანების, „სხვებისგან“ გამიჯვნის და მათთან თანაცხოვრების პირობებში ამ იდენტობის შენარჩუნების საშუალებას.

5. **„სიმბოლო-ნიშანთა სემანტიკა აჭარის ეთნოკულტურაში (ჯვარი)“**
   მოხსენებაში განხილულია სიმბოლოების ფუნქციური დანიშნულება და საკრალური მნიშვნელობა აჭარის მატერიალურ და არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობაში. შესწავლილია განსაკუთრებული საკრალურობით გამორჩეული ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ასტრალური სიმბოლო ჯვარი. იგი, როგორც ნიშანი-სიმბოლო, კარგადაა ცნობილი ქრისტიანული იკონოგრაფიიდან, მაგრამ ქართველთა მითორიტუალურ ცნობიერებაში შემონახულია ამ სიმბოლოს ქრისტიანული კონტექსტისგან განსხვავებული სემანტიკა. მოხსენებაში, აჭარის ეთნოგრაფიული ყოფის მაგალითზე, შესწავლილია ჯვრის სიმბოლური გააზრების სხვადასხვა ასპექტი, მითორიტუალურ მოდელებში ჯვრის სიმბოლური დატვირთვა.

6. **დაბეჭდილია**

7. **დაბეჭდილია**

8. **„აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მოსახლეობა და ბიოგარემო ჰიპოკრატესმიხედვით“ („ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ“)**
   ნაშრომში საუბარია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოზე, იქ განსახლებულ ქართველურ ტომებსა და მათ მეზობლებზე-კიმერიელებზე, სარმატებზე. აღწერილია ის მიზეზები, რომელიც ჰიპოკრატეს ადამიანათა ჯანმრთელობის, ხასიათის განმაპირობებლად მიაჩნდა. ჰიპოკრატემ კლიმატს დაუკავშირა ადამიანთა ნერვული სისტემის, მათი ხასიათისა და სამეურნეო საქმიანობის ტიპი. ჰიპოკრატეს მიერ ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში წამოჭრილი გეოგრაფიული გარემოს საკითხისადმი ინტერესი, მე-19 საუკენეში უფრო გაღრმავდა და განაპირობა გეოგრაფიული დეტერმინიზმის იდეური განვითარება. ასე, რომ

ჰიპოკრატე ფაქტიურად გვევლინება ეთნოგეოგრაფიული, ეთნოკულტურული სამეცნიერო მიმართულებათა ფუძემდებლად.

9. დაბეჭდილია

10. დაბეჭდილია

11. დიდი ბრიტანეთის ვიცე-კონსულის ფრედერიკო გუარაჩინოს ცნობები ვაჭრობისა და ნაოსნობის შესახებ ბათუმში (1840-1845)

XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყება ბათუმისადმი (რომელიც ორ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე ოსმალეთის იმპერიის ნაწილი იყო) ინტერესის ზრდა, რაც დაკავშირებულია ერთი მხრივ, რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომის შედეგებთან (ოსმალეთმა დაკარგა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ციხეები: ანაპა, სუჯუკ-კალე (ნოვოროსიისკი) და ფოთი), მეორე მხრივ კი ანატოლიაში რუსეთის გავლენის ზრდასთან. ამას მოჰყვა ჯერ ტრაპიზონში (1831 წელს), შემდეგ კი ბათუმში (1840 წელს) დიდი ბრიტანეთის დიპლომატიური წარმომადგენლობის გახსნა.

ბრიტანეთის პირველი ვიცე-კონსული ბათუმში (მთავარი დიპლომატი ამ სტატუსით იყო გამოგზავნილი) გახლდათ ფრედერიკო გუარაჩინო, რომელმაც საინტერესო ცნობები დაგვიტოვა ბათუმის სავაჭრო და სანაოსნო შესაძლებლობების შესახებ 1840-1845 წლებში. ამ დროისათვის ქალაქი შედიოდა ლაზისტანის სანჯაყის შემადგენლობაში, ეს უკანასკნელი კი ტრაპიზონის საფაშოს საზღვრებში ექცეოდა.

ბრიტანელი დიპლომატის – ფრედერიკ გუარაჩინოს წარმოდგენილი ცნობები ნათლად გვიჩვენებს ზოგად ვითარებას ოსმალეთის მმართველობის ქვეშ მყოფ ბათუმში და ქალაქის სავაჭრო-ეკონომიკურ თუ სანაოსნო შესაძლებლობებს 1840-1845 წლებში. აღნიშნულ პერიოდში ვაჭრობა და ტვირთბრუნვა ბათუმში არ იყო დიდი მასშტაბების, თუმცა, დიპლომატის დაკვირვებით, ორთქმავალი გემების მიმოსვლის დაწყება ქალაქს შესძენდა მნიშვნელობას და ხელს შეუწყობდა მის შემდგომ განვითარებას.

12. დაბეჭდილია

13. „ახალგაზრდობის ორგანიზაციები აჭარაში 1917-1930 წლებში“

გამოკვლევის მიზანს შეადგენს ახლებური მეცნიერული მეთოდოლოგიითადა ხედვით აჭარის ახალგაზრდობის ორგანიზაციების ისტორიის შესწავლა 1917-1930 წლებში. ახალგაზრდობის ორგანიზაციები მოიაზრებოდა პოლიტიკური პარტიების რეზერვად და თანაშემწედ. გასაბჭოების წინ საქართველოში სამი ძირითადი პოლიტიკური პარტია არსებობდა: სოციალ-დემოკრატიული, სოციალისტ-ფედერალისტების და ეროვნულ-დემოკრატიული. 1917 წელს იქმნება ამ პარტიების ახალგაზრდობის ორგანიზაციები: ახალგაზრდა მარქსისტების(ქართველი მენშევიკების), სოციალისტ-ფედერალისტებისა და ეროვნულ-დემოკრატების ახალგაზრდობის კავშირები. ქართველმა ბოლშევიკებმა შექმნეს ახალგაზრდობის კავშირი „სპარტაკის“ სახელწოდებით.

აჭარაში ასევე 1917 წელს იქმნება ახალგაზრდობის კავშირების რეგიონული ორგანიზაციები. მათში ძირითადად მოსწავლე-ახალგაზრდები გაერთიანდნენ. აჭარაში ახალგაზრდობის ორგანიზაციებს შორის წამყვანი მდგომარეობა ეკავა „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციას, რომლის რიგებში 300-მდე წევრი ითვლებოდა.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ განხორციელდა არაკომუნისტური ახალგაზრდობის კავშირების ლიკვიდაცია. ამის შედეგად ქვეყანაში მხოლოდ ახალგაზრდობის კომუნისტური

კავშირი ფუნქციონირებდა. აჭარაში ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის საოლქო ორგანიზაცია 1921 წლის აპრილში დაფუძნდა. დამფუძნებელთა უმრავლესობას არაქართველები შეადგენდნენ. ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციების სტრუქტურა, ორგანიზაციული და იდეურ-პოლიტიკური მუშაობის შინაარსი, ფორმები და მეთოდები კომპარტიის იდენტური იყო. საერთო ხელმძღვანელად კომუნისტური პარტოკრატია ითვლებოდა.

კომკავშირის აჭარის საოლქო ორგანიზაციის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო იყო კონფერენცია, სადაც აჯამებდნენ საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ მუშაობას, ირჩევდა ხელმძღვანელ ორგანოებს. 1921-1930 წლებში ჩატარდა კომკავშირის აჭარის საოლქო ორგანიზაციის 13 კონფერენცია. მიმდინარე მუშაობას ეწეოდა პლენუმი,პრეზიდიუმი და განყოფილებები. კომკავშირის იდეურ-პოლიტიკური საქმიანობა აგებული იყო სიცრუეზე, ანდა ნახევრადსიცრუეზე, დიქტატსა და დემაგოგიაზე. მიუხედავად ამისა, კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობაში დადებითი მომენტიც შესამჩნევი იყო.

14. დაბეჭდილია

15. დაბეჭდილია

16. „ყალიონის ჯამები პეტრა-ციხისძირიდან“

ჩვენი ქვეყნის გვიანი შუასაუკუნეების ეპოქის მატერიალური კულტურის ძეგლების, მათ შორის საფორტიფიკაციო კომპლექსების გათხრების პროცესში, ჩნდება არტეფაქტები, რომლებიც, კონკრეტულ პერიოდში (XVII-XIX საუკუნეები) ციხე-სიმაგრეებში გამაგრებული თურქი ჯარისკაცების პირად საკუთრებას წარმოადგენდნენ. ამჯერად მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ იშვიათ მონაპოვრებზე, კერძოდ, ყალიონებზე, რომლებიც, თამბაქოს მოსაწევ თიხის ჩიბუხებთან ერთად, ოსმალთა ყოველდღიური ყოფის შემადგენელ ნაწილს შეადგენდა.

ყალიონი, როგორც თამბაქოს მოსაწევი მოწყობილობა, რამდენიმე კომპონენტისგან შედგება, მაგრამ არქეოლოგიურ მონაპოვარში წარმოდგენილია მხოლოდ თამბაქოს ჩასაყრელი თიხის ჯამები. ისინი ჩვენამდე დაზიანებული სახითაა მოღწეული. პეტრა-ციხისძირის ყალიონის ჯამები, სხვა თანადროულ ძეგლებზე მიკვლეული ანალოგების მოშველიებით, XIX საუკუნის ნაკეთობებს შეიძლება მივაკუთვნოთ, რაც ქრონოლოგიურად თანხვედრაშია პეტრა-ციხისძირში თურქთა გარნიზონის განთავსების დროსთან.

17. „ოსმალური კერამიკის ერთი ჯგუფი საქართველოს ზღვისპირა ციხე-სიმაგრეებიდან“

საქართველოს ზღვისპირა ზოლში თამბაქოს მოსაწევი ოსმალურ თიხის ჩიბუხებიყველაზე დიდი რაოდენობითააღმოჩენილი გონიო-აფსაროსის და პეტრას ციხის ტერიტორიაზე, სადაც, კონკრეტულ პერიოდში, ოსმალური ჯარი იყო განთავსებული.

გონიო-აფსაროსის არქეოლოგიური მასალა უფრო მრავალრიცხოვანი და მრავალ-ფეროვანია, ვიდრე პეტრა-ციხისძირის, რადგან ოსმალებმა ციხე გაცილებით ადრე დაიკავეს და უფრო დიდხანსაც „შემორჩნენ“.შესაბამისად, თუ გონიო-აფსაროსში აღმოჩენილი თამბაქოს მოსაწევი თიხის ჩიბუხების ასაკი XVII-XIX საუკუნეებით განისაზღვრება, პეტრას ციხეზე მიკვლეული მსგავსი არტეფაქტები XVIII-XIX საუკუნეებით თარიღდება, რაც ქრონოლოგიურ თანხვედრაშია ისტორიულ წყაროებში მითითებულ გონიო-აფსაროსსა და პეტრა-ციხისძირში ოსმალთა „მოღვაწეობის“ პერიოდთან.

18. დაბეჭდილია

19. „მაჭახლის ხეობის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები“

მაჭახლის ხეობაში 2018-2019 წლებში ნ. ბერძენიშვილის ინსტიტუტის მიერგანცოხრციელდასოფლებისისტორიული, ეთნოგრაფიული, კულტურული მემკვიდრეობის კვლევა, რომლის შედეგადგამოვლინდა ეთნოგრაფიული ყოფისა და ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების არაერთი საინტერესო ნიმუში, ხეობისათვის დამახასიათებელი საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები.მოდერნიზაციისადა განადგურების საფრთხის წინაშე მყოფი ეს ნიმუშები წარმოადგენენ კულტურული მემკვიდრეობის იშვით ძეგლებს ჯერ კიდევ მეტ-ნაკლებად შენარჩუნებული ავთენტურობით. მაჭახლის ხეობის საკარმიდამო კომპლექსები აერთაიანებს საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებს, აჭარული სახლისტრადიციებს, იშვიათად გვხვდება ლაზური სახლის ელემენტები (ფახვერკული კედლები, ლაზური ბუხრები). ხეობაში შემორჩენილი მარან-საწნახლები წარმოაჩენსმაღლარი ვაზის გაშენებისა დამევენახეობა-მეღვინეობის ტრადიციებს.

20. „გირეების დინასტიის მონეტები აჭარის მუზეუმის კოლექციიდან“

მოხსენება შეეხება აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში დაცულ ყირიმის სახანოში (1443-1783 წწ.) მენგლი გირეი ხანის (ყირიმის ხანი იყო სამჯერ: 1467, 1469-1475 და 1478-1515 წლებში) სახელით მოჭრილ ახჩებს – 7 ერთეულს. ისინი ერთი ტიპისაა, ყველა მათგანზე გამოსახულია გირეების დინასტიის საგვარეულო დამღა. 1478 წლიდან ყირიმის სახანო ოფიციალურად გახდა ოსმალეთის ვასალი და ასე რჩებოდა ქუჩუქ-კაინარჯის ზავამდე (1774 წ.). ყირიმელი თათრები ოსმალთა ჯარში იბრძოდნენ, შესაძლებელია, აღნიშნული ფულადი ერთეულები ჩვენთან მეზობელი ოსმალეთის იმპერიიდან შემოვიდა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რუსეთის ელჩების, – ტოლოჩანოვისა და იევლევის გადმოცემით, XVII საუკუნის 50-იან წლებში ყირიმელი ვაჭრები ჩამოდიოდნენ ქუთაისში. ნაკლებად სარწმუნოა, რომ ახჩები ყირიმელი ვაჭრების შემოტანილი იყოს. რადგან, არცთუ მაღალი ღირებულების ახჩები, შეუძლებელია, მიმოქცევაში ყოფილიყო საუკუნენახევრის შემდეგაც. ყირიმული ახჩების მიმოქცევა საქართველოს ტერიტორიაზე არ არის დადასტურებული.ამიტომაც ჩვენს მუზეუმში დაცული გირეების მონეტები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

21. „ისლამური ნუმიზმატიკური ძეგლები ციხისძირიდან“

შუასაუკუნეებში დაწინაურებულ და მაღალგანვითარებულ სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა ციხისძირი, სადაც დადასტურებულია ქართული, ბიზანტიური, ტრაპიზონის ასპრების, კირმანეული თეთრის და ისლამური მონეტების მიმოქცევა. აქ სხვადასხვა დროს გამოვლენილი არაბული (2 მოჭრილია მადინათ ას-სელამში, 1 არმინიაში - IXსაუკუნის დასაწყისში), სელჩუკური (ქეიქუბად I-ის (1219-1236 წწ.) - 3, ქეიხუსრევ II-ის (1237-1246) – 2 და ქეიქაუს II-ის (1245-257) – 1) და ილდეღიზიდების საათაბაგოში აბუ-ბაქრის სახელით (1195-1210 წწ) მოჭრილი ფული ინახება ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმში. არაბული დირჰემები და რუმის სასულთნოში XII–XIII საუკუნეებში მოჭრილი ვერცხლის მონეტები გავრცელებული იყოსაქართველოში, ილდეღიზიდების მონეტა კი პირველად გამოვლინდა დასავლეთ საქართველოში, ამიტომაც ციხისძირის მონაპოვრიდიდ მნიშვნელობას იძენს. ნუმიზმატიკური მასალის შესწავლით ირკვევა, რომ ციხისძირიIX-XIII საუკუნეებში არის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი, სადაც დიდი ფინანსური ოპერაციები ტარდებოდა.

22. „ადრეული კესარიული დრაქმა ფიჭვნარიდან“,

მოხსენების მიზანია 2007 წელს საქართველო-ბრიტანეთის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობისას, ელინისტური სამაროვნის 227-ე სამარხში,გამოვლენილი ვერცხლის

მონეტის განსაზღვრა, აღწერა, ქვეყნის,ქალაქის, ემისიის წლების, მეტროლოგიური პარამეტრების დადგენა, პარალელური მასალის მოძიება, მონეტის საკვლევ ტერიტორიაზე მიმოქცევის მიზეზებისა და გზების დადგენა. ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მონეტა წარმოადგენს კაბადოკიის სამეფოს მეფე არიარათეს I (ძვ.წ.333–322) სახელით ქალაქ გაზიურაში მოჭრილ დრაქმას. კაბადოკიის სხვადასხვა ქალაქებში მოჭრილი დრაქმები დიდი რაოდენობით შემოდიოდა საქართველოში და მიმოქცევის ძირითად საშუალებას წარმოადგენდა რომაულ ხანაში. ელინისტურ პერიოდშიც გვხვდება კაბადოკიის მეფეების სახელით მოჭრილი საფასეები, მაგრამ სულ რამდენიმე ერთეული, ძირითადად დასავლეთ საქართველოდან. ფიჭვნარში არიარათეს I სახელით მოჭრილი მონეტის გამოვლენას დიდი მნიშვნელობა აქვს. კაბადოკიის სამეფოს ქალაქ გაზიურაში მოჭრილი ფულის მიმოქცევა პირველად დაფიქსირდა არა მხოლოდ საკვლევ პუნქტში, არამედ მთელს საქართველოშიც. ესააჩვენს ქვეყანაში გამოვლენილი ყველაზე ადრეული კაბადოკიური მონეტა. ფიჭვნარის ელინისტური ხანის მასალას თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ დომინირებს ქალაქ სინოპეს კერამიკული მასალა, იგივე სურათი გვაქვს ნუმიზმატიკურ ძეგლებშიც. შესაძლებელია, რომ არიარათეს I დრაქმა ფიჭვნარში სწორედ სინოპურ პროდუქციასთან ერთად შემოვიდა.

23. „ანტირუსული მოძრაობა გურია-აჭარაში XX საუკუნის პირველ ოცწლედში“

XX საუკუნის დასაწყისში რუსეთში არსებულმა პოლიტიკურმა კრიზისმა, იმპერიის დაქვემდებარებაში მყოფ ქართველ ხალხს სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლების იმედი ჩაუსახა, რასაც მოჰყვა საზოგადოებრივი პოლიტიკური მოძრაობის გამოცოცხლება. სტატიაში, მდიდარ სამეცნიერო მონაცემებსა და საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით, განხილულია გურიისა და აჭარის რეგიონებში ანტიკოლონიალური მოძრაობის უმნიშვნელოვანესი საკითხები.

XX საუკუნის პირველ ოცწლედში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლობის პერიოდში კიდევ უფრო გაძლიერდა ანტირუსული მოძრაობა. 1919 წელს გურიაში მოქმედმა ქართველ მაჰმადიანთა განმათავისუფლებელმა კომიტეტმა დიდი მუშაობა გასწია რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ, ქრისტიან და მუსულმან ქართველთა გასაერთიანებლად. ოზურგეთის სამაზრო ერობასთან დაფუძნდა ქართველ მეომართა დამხმარე კომიტეტი. ასეთივე კომიტეტები დაარსდა გურიის ყველა სოფელში.

24. დაბეჭდილია

25. „რუსეთისა და თურქეთის ინტერესები შავ ზღვაზე გაბატონებისთვის და ბათუმი-ფოთის პორტების სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულება“

საუკუნეების განმავლობაში რუსეთს გააჩნდა ურალს იქით არსებული თეთრი ზღვა, რომელიც შვიდი თვის განმავლობაში გაყინული იყო. მას შემდეგ (სსრკ დაშლა), რაც რუსეთმა დაკარგა პეტრე პირველის მიერ მოპოვებული ევროპისკენ მიმავალი ბალტიის საზღვაო გზა, კიდევ უფრო გაიზარდა მისი ინტერესი შავ ზღვაზე გაბატონებისთვის. დღეს რუსეთი ანგარიშს უწევს თურქეთს, რომელიც ფლობს ევროპისკენ მიმავალ ბოსფორის და დარდანელის სრუტეებს. საქართველო-რუსეთის 1992-1993 და 2008 წლების ომის შედეგად საქართველომ დაკარგა შავი ზღვის აფხაზეთის სანაპირო, სვანეთისკენ მიმავალი კოდორის ხეობა და როკის გვირაბით რუსეთისკენ მიმავალი ლიახვის ხეობა. რუსეთ-თურქების ომების დროს კოდორის და ლიახვის ხეობას უდიდესი სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულება ჰქონდა. შავი ზღვის აფხაზეთის სანაპიროზე არსებული სამხედრო ლაბორატორიით რუსეთი აკონტროლებს შავ ზღვას. სომხეთის ოცნებაა რუსეთის დახმარებით მოიპოვოს შავი ზღვის ბათუმის სანაპირო და გიუმრი-როკის გვირაბის სახმელეთო გზით დაუკავშირდეს რუსეთს. შავი ზღვის ბათუმის და ფოთის პორტებს

გააჩნია უდიდესი სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულება. ამიტომაც, როგორც აკადემიკოსი ლადო პაპავა აღნიშნავს, დიდი შეცდომა იყო ბათუმის და ფოთის პორტების პრივატიზაცია. დღეს ბათუმის და ფოთის პორტებით ჩინეთია დაინტერესებული. ბათუმისა და ფოთის პორტების სამხედრო-სტრატეგიული და სავაჭრო-ეკონომიკური დანიშნულების ამაღლება ანაკლიის პორტის გარეშეც შეიძლება. სტატიაში საარქივო მასალების საფუძველზე შესწავლილი და წარმოჩენილია ბათუმი-ფოთის პორტის სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულება.

26. დაბეჭდილია

27. „რომაული გარნიზონები სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში“

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის, ისევე როგორც მთლიანად წინა აზიის რომაული სასაზღვრო-თავდაცვითი სისტემის რეორგანიზაცია იმპერატორ ვესპასიანეს დროს დაიწყო. ჩვ.წ. 72 წელს აღმოსავლეთის საზღვრების თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით, პროვინციები გალატია და კაპადოკია გაერთიანდა და შეიქმნა ე.წ. „კაპადოკიური კომპლექსი“. მის შემადგენლობაში კი კოლხეთიც შევიდა. კაპადოკიის, როგორც სასაზღვრო პროვინციის მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა იმის გამო, რომ იმავე 72 წელს ვესპასიანემ გააუქმა მცირე არმენიისა და კომაგენის „ბუფერული“ სამეფოები. შესაბამისად, დიდი ყურადღება დაეთმო კაპადოკიის სასაზღვრო ხაზის გამაგრებას. „კაპადოკიურმა კომპლექსმა“ მიიღო ორი ლეგიონი, რომლებიც განლაგებულ იქნა უშუალოდსაზღვრის სიახლოვეს, კაპადოკია - მცირე არმენიის ხაზზე, სატალასა და მელიტენეში. მელიტენეში ჩააყენეს სირიიდან გადმოყვანილი ლეგიონი XII Fulminata (ელვისებური), ხოლო სატალაში ახალშექმნილი XVI Flavia Firma, რომელიც მოგვიანებითპანონიიდანგადმოყვანილმა ლეგიონმა XV Apollionaris-მა შეცვალა.

„კაპადოკიური კომპლექსის“ შექმნამ და სირიის ჩრდილოეთით იმპერიის მთელი საზღვრების ერთი ლეგატის ხელში გაერთიანებამ მნიშვნელოვნად გაამლიერა აღმოსავლეთის სასაზღვრო სისტემის თავდაცვითი პოტენციალი. თუმცა, აღმოსავლეთის საზღვრის რეორგანიზაციის პროცესი ამით არ დასრულებულა. 74-76 წლებში აღმოსავლეთის საზღვრის მთელ პერიმეტრზე დაიწყო რომაული სამხედრო ძალების ინტენსიური კონცენტრაცია.

განსაკუთრებული საყურადღებოა ისიც, რომ, ამავე პერიოდში დიდი ყურადღება დაეთმო კაპადოკია-მცირე არმენიის სასაზღვრო ხაზის მოდერნიზებას. სატალასა და მელიტენეს შორის ტერიტორია რომაელებმა ციხესიმაგრეებითა და ფორტებით გაამაგრეს, რითაც დაიწყო დიდი არმენიის საზღვრის გასწვრივ ე.წ. “ზემოევფრატის ლიმესის“ ფორმირება. სასაზღვრო ბანაკებისა და ფორტების გარდა, 76 წელს იმპერიის აღმოსავლეთ საზღვრის გაყოლებით დაიწყო დიდი სამხედრო-სტრატეგიული გზის მშენებლობა, რომელიც ტრაპეზუნტს სატალასთან, მელიტენესა და სამოსატასთან აერთებდა. ეს მაგისტრალი აქვედუკებით, ხიდებითა და სპეციალური საგზაო ნიშნებით იყო აღჭურვილი.

უნდა ითქვას ისიც, რომ ამავე პერიოდში ტრაპეზუნტის აღმოსავლეთით, ზღვის სანაპიროზე მცირერიცხოვანი გარნიზონები განლაგებული იყვნენ ჰისოსში, რიზესა და ათენაში. ამ პუნქტების გარდა, ახ.წ. 63 წლის შემდგომ რომაული გარნიზონები განლაგდნენ აფსაროსში, ფაზისსა და სებასტოპოლისში. II საუკუნის შუახანებამდე სებასტოპოლისი რომაელთა ბატონობის უკიდურესი ფორპოსტი იყო ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში. 132-152 წლებს შორის სამხედრო ნაწილები განლაგდა პიტიუნტშიც (მკვლევართა ნაწილის მიერ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რომაული სასაზღვრო-თავდაცვითი სისტემა “ლიმესად” იყო კვალიფიცირებული.

პონტო-კავკასიის სასაზღვრო სისტემის ძირითად დანიშნულებას წარმოადგენდა რომის პოზიციების განმტკიცება რეგიონში, გაძლიერებული იბერიის სამეფოს ზღვის სანაპიროსაკენ ექსპანსიის შეკავება, ჩრდილოეთ კავკასიის გადმოსასვლელების გაკონტროლება და არ დაეშვა

გააქტიურებული იმიერკავკასიელი ნომადების-ალანების მოულოდნელი შემოჭრა წინა აზიის რომაულ სამფლობელოებში "მეოტიდა-კოლხეთის" გზით. სტრატეგიული ფუნქციების გარდა, მის მოვალეობაში შედიოდა მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლა, საკაბოტაჟო ნავიგაციისა და ვაჭრობის უსაფრთხოების დაცვა.

28. „ადრეული ბიზანტიური ეკლესიები აჭარის ზღვისპირეთიდან"

აჭარის ტერიტორიაზე შემორჩენილია მრავალი ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლი, რომლებიცრეგიონის მნიშვნელოვანი წარსულის შესახებ მოგვითხრობს. მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი ავგიისა და პეტრას ეკლესიებს უჭირავთ.

ავგიის ეკლესია ბათუმთან ახლოს, ავგიის რაიონში, ადგილობრივი მცხოვრების საკარმიდამო ნაკვეთში მდებარეობს. არქეოლოგიურმა კვლევამ გამოავლინა ბაზილიკა, რომელიც სამშენებლო ტექნიკის, ნაგებობის გეგმისა და არქეოლოგიური მასალების მიხედვით ადრეული ბიზანტიური პერიოდით თარიღდება. ავგიის ეკლესია უგუმბათო ჯვრის ფორმის ბაზილიკაა. ეკლესიის კედლები ნაშენია დაუმუშავებელი ქვებითა და კირის ხსნარით. არქიტექტურული ანალიზისა და არქეოლოგიური მასალების ანალიზის საფუძველზე ჩანს რომ ეკლესია V-VI საუკუნეებში აუგიათ.

პეტრას ეკლესია. განსაკუთრებით გამორჩეული თვისებებით გამოირჩევა ციხისძირის ისტორიული კომპლექსი, რომელსაც ბიზანტიელები პეტრას სახელითაც მოიხსენიებდნენ, რაც კლდეს, მყარს ნიშნავს. ციხისძირი, სადაც გვიანი ბრინჯაოს-ადრე რკინის ხანიდან გვიან შუა საუკუნეებამდე დათარიღებული არქეოლოგიური ძეგლებია აღმოჩენილი, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს ისტორიისა და მატერიალური კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილია. ძირითადი წერილობითი ცნობები პეტრას, როგორც ცნობილი გამაგრებული ქალაქისა და საეპისკოპოსო ცენტრის შესახებ, შემონახულია ჩვენი წელთაღრიცხვით VI-IX საუკუნეების ბიზანტიის ისტორიულ ლიტერატურაში (იუსტინიანეს რომანები, პროკოპი კესარიელის შრომები, კონსტანტინოპოლის საეპისკოპოსო ცენტრების ნუსხები). სამნავიან ბაზილიკას აქვს წაგრძელებული პროპორციები, ხუთნავიანი აფსიდი და სამნაწილიანი ნარტექსი. შემორჩენილია შიდა საყრდენებიდან რამდენიმე სვეტის საყრდენი. როგორც ჩანს, თითოეულ რიგში ხუთი სვეტი იყო. ბაზილიკა ნაგებია დაუმუშავებელი ქვით და კირხსნარით. სავარაუდოდ, ბაზილიკა დაფარული იყო ხის სხივებითა და რაფებით შედგენილი კონსტრუქციით. ციხისძირის სამნავიანი ბაზილიკა VI საუკუნით თარიღდება.

29. „ზურაბ გორგილაძის შემოქმედების ზოგიერთი სტილური თავისებურება"

მოხსენება ზურაბ გორგილაძის შემოქმედების ზოგიერთ სტილურ თავისებურებას ეხება. შემოქმედის ენის შესწავლა ფაქიზი და საინტერესო საკითხია. მოხსენებაში საუბარია დაუმთავრებელ წინადადებათა, ხატოვან სიტყვა-თქმათა, სიტყვათა თუ წინადადებათა გამეორების სტილური თავისებურების შესახებ. ზ. გორგილაძის შემოქმედება საოცარი ეპითეტებითაც აღიბეჭდება მკითხველის ცნობიერებაში. სმენით-ვოკალური ეპითეტების სტილური გამოყენებით საოცარ ფერწერას ქმნის პოეტი. ერთ საინტერესო, პოეტისათვის სახასიათო დეტალზეცაა ყურადღება გამახვილებელი. ზ. გორგილაძესთან შემოიჭრება ხოლმე ლირიკისათვის მოულოდნელი დიალოგის ელემენტები, დიალოგიური ჩანართები. ესეც თავისებურ სტილიზაციის ხერხად აღსაქმელია. მოხსენებაში სწორედ ეს საკითხებია განხილული.

30. „კონსტანტინე ოდიშარიას არტაანში მოგზაურობის დღიურების მნიშვნელობისათვის" (სტამბულის ქართული სავანის მასალების მიხედვით)

მოხსენებაში კონსტანტინე ოდიშარიას არტაანში მოგზაურობის დღიურის მნიშვნელობაზეა საუბარი.მან ამ მხარეში 1913-1918 წლებში იმოგზაურა და დღიურების სახით აღწერა. დღიურს აწერია რვეული I. არტაანის მხარე (ისტორიულ-გეოგრაფიული და სტატისტიკური მასალები). დღიურები მნიშვნელოვანია იმ მიმართებითაც, რომ მისი თვალით დანახულ-განცდილია

აღწერილი. მართალია, ის კორესპოდენციებს ბეჭდავდა გაზეთ „საქართველოში“, 1917 წელს, მაგრამ ცენზურა უმოკლებდა, რიგ შემთხვევაში კიდეც უმახინჯებდა. შესაბამისად, მისი დღიურების მნიშვნელობა დიდია.

დღიურები სხვადასხვა კუთხითა თუ მიმართებითაა საინტერესო. აქ გვაქვს დეტალური გეოგრაფიული აღწერილობა სოფლებისა, სტატისტიკური მონაცემები მცხოვრებთა შესახებ, კონკრეტულად აღწერს ტაძრებს, სოფლის ყოფას, თქმულებებს, იძლევა ტოპონიმთა შესახებ ცნობებსა და ახსნას. მან ენათმეცნიერებას, ონომასტიკას შემოუნახა 331 სოფლის სახელი. თან ჩვენ მწირი ცნობები გვაქვს არტაანის მხარის შესახებ და შესაბამისად, მისი მოგზაურობის დღიურების მნიშვნელობა ფასდაუდებელია და ეთნოლოგიური, ფოლკლორული, ტოპონიმური თუ სხვადასხვა კუთხით საინტერესო წყაროს წარმოადგენს.

31. „ბატონი სიმონ ზაზაძე - პიროვნება და საზოგადო მოღვაწე“

სიმონ ზაზაძე სტამბულის ქართული სავანის ბიბლიოთეკისა და არქივის მესვეურია. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ დღემდე ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებული ქართული კულტურის მოქმედ კერას წარამოადგენს სავანე. მოხსენებაში საუბარია სიმონ ზაზაძის საზოგადოებრივ ღვაწლსა და ასევე, მისი პიროვნების ზოგიერთ ბიოგრაფიულ შტრიხზე.

32. დაბეჭდილია

33. დაბეჭდილია

34. „ქვის სიმბოლიკის ზოგიერთი საკითხის გააზრებისთვის აჭარის ფოლკლორში“

წარმოდგენილ მოხსენებაში საუბარია ქვის სახე-სიმბოლოზე აჭარის ფოლკლორში. კლდე, ქვა და სხვა მრავალი საგანი, უძველესი დროიდან სულიერი ძალების სამყოფლად იყო მიჩნეული. ქვების თაყვანისცემის ტრადიცია, არა მარტო საქართველოში, არამედ სხვადასხვა ქვეყანაშიც გვხდება.

ადრეული ხანის ხალხის წარმოდგენით, ღმერთები ქვაშიც ცხოვრობდნენ. შესაბამისად მას, არა მარტო წარმართულ, არამედ ქრისტიანულ რელიგიაშიც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მისი განხილვა მნიშვნელოვანია ზოგადქართულ სიტყვიერებასთან მიმართებაში, როგორც ფოლკლორული, ასევე რელიგიური თვალსაზრისითაც.

ამრიგად, ქვისადმი თაყვანისცემისა და პატივისცემის ელემენტებს ვხდებით აჭარის ფოლკლორულ მასალებში, რაზედაც წარმოდგენილ მოხსენებაში იქნება ყურადღება გამახვილებული.

35. „უძველეს წესთან დაკავშირებული საკითხის გააზრებისათვის აჭარის ფოლკლორში“ (საარქივო და საველე მასალების მიხედვით)

წარმოდგენილ მოხსენებაში განხილულია ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის არქივის ფონდში დაცული მასალები, რომელიც 1972 წელს ჩაწერილია ზემო აჭარაში. ნაშრომში გაანალიზებულია წლების განმავლობაში მკვლევართა და ჩვენ მიერ მოპოვებული მასალა, სადაც საუბარია აჭარაში არსებულ დასჯის მეთოდებზე.

36. „შელოცვებთან დავშირებული ზოგიერთი საკითხის გააზრებისათვის აჭარის ფოლკლორში“

წარმოდგენილ მოხსენებაში საუბარია აჭარაში შემონახულ წეს-ჩვეულებებზე, რომელთაც ხალხი დღესაც იყენებს. კერძოდ, შელოცვებსა და მასთან დაკავშირებული წესებზე.

37. დაბეჭდილია

38. დაბეჭდილია

39. „ფიტოტოპონიმთა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი ლინგვო კულტუროლოგიურ სივრცეში“

ნაშრომში განხილულია აჭარულში დადასტურებული ფიტოტოპონიმების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი, გაანალიზებულია ფიტოტოპონიმთა მაწარმოებელი სადერივაციო აფიქსები, მათი გავრცელების არეალი და გამოყენების სიხშირე.

40. დაბეჭდილია

41. დაბეჭდილია

42. დაბეჭდილია

43. „ერთი კომპოზიტური ტოპონიმის განმარტებისათვის“

თხზული სახელის შედგენა (კომპოზიცია) ქართულში უმთავრესად ხდება ერთი და იმავე ან სხვადასხვა ფუძის შეერთებით. გეოგრაფიულ სახელთა თხზვა ძირითადად ემორჩილება ისეთივე წესს, როგორიც დამახასიათებელია საზოგადო სახელებისათვის. ჩვეულებრივი წარმოების სახელებთან შედარებით კომპოზიტურ გეოგრაფიულ სახელებში, სადაც მთელი შესიტყვება გვაქვს, უკეთ ჩანს ამა თუ იმ პუნქტის ტერიტორიული დახასიათება, დასახლებისა თუ წარმოშობის სიძველე-სიახლე. ასეთი ტიპის სახელებს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართულ ტოპონიმიაში. ნაშრომში განვიხილავთ სახელობით ბრუნვაში დასმული საზღვრულისა და ნომინატიური მსაზღვრელის ერთ მაგალითს მხოლობით რიცხვში.

44. დაბეჭდილია

45. „დაკარგული გეოგრაფიული სახელწოდებები ბათუმის შემოგარენში“

ცნობილია, რომ აჭარის ტერიტორიაზე ბევრი ობიექტის სახელწოდება უკავშირდება რუსი ჩინოვნიკების გვარებს. ის კი არა, მოცემული ტერიტორია, ლამის რუსულ დასახლებად არის გამოყვანილი, აქაურობისთვის უცხო და შეუფერებელი ტოპონიმებით, ისეთებით როგორებიცაა: გუბანოვი, იაკობსონი, ლიტვინოვი, მელნიკოვი, პოპოვი, სიბირიაკოვი, სმირნოვი და ბევრი სხვა... ამ ტოპონიმთა მიღმა, ჯერ კიდევ საგულვებელია ძირძველი ტოპონიმების აღდგენა. აჭარაში დღემდე ცნობილი ტოპონიმი: ,,მწვანე კონცხი“ კარგად დავიწყებული ,,წყავნარი კონცხია“, დღევანდელი ,,განთიადი“- სოფლის სახელწოდებაა ბათუმთან ახლოს - ,,ორპირი“ იყო, ,,გუბანოვი“- ძირძველი ,,ოჯინჯია“.

46. „უძველესი კოლხური ძეგლების ინტერდისციპლინარული კვლევის ცდა და მისი პირველი შედეგები“

უძველესი კოლხური ძეგლების ინტერდისციპლინარული კვლევის ცდა და მისი პირველი შედეგები, წარმოდგენილი მოხსენება მიზნად ისახავს უძველესი კოლხეთის ძეგლების სპეციალურ კვლევას ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ორი წამყვანი დარგის - არქეოლოგიისა და ლინგვისტიკის პრობლემატიკის გზაჯვარედინზე. ეს არის არქეოლოგიური ძეგლებისადმი ამგვარი დამოკიდებულების და მათი შესწავლის პირველი ცდა, მიმართული საკვლევი მასალის არა მხოლოდ არქეოლოგიური კონტექსტის გარკვევის, არამედ ამა თუ იმ კონკრეტული კომპლექსის ადგილმდებარეობის, ძველი ტოპონიმების გამოაშკარავებისა და დადგენისაკენ. ზემოაღნიშნული თვალთახედვით(მეცნიერების ორი დარგის- არქეოლოგიისა და ლინგვისტიკის) განსახორციელებელი კვლევისათვის ჩვენ კოლხეთის რეგიონში ლოკალიზებული ძეგლი, კერძოდ კი, მახვილაურისა კომპლექსი შევარჩიეთ.

47. „ზოგიერთი საწესჩვეულებო ლექსიკური ერთეული ლაზურში“

საოჯახო და სამეურნეო ცხოვრებაში მომხდარმა ძვრებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია ლაზთა ყოფისათვის დამახასიათებელ წეს-ჩვეულებებში. ხალხურ ჩვეულებებში დაცულია სხვადასხვა დროისა და სოცილური წყობილების დამახასიათებელი წესები.

წარსულში ლაზეთში ორი სარწმუნოებრივი მოძღვრება იბრძოდა - ქრისტიანობა და მუსლიმანობა, თითოეულმა მათგანმა ღრმა კვალი დატოვა ლაზთა წეს-ჩვეულებებში.

მიუხედავად ამისა, ირკვევა, რომ ლაზთა წეს-ჩვეულებებს და მასთან დაკავშირებულ ლექსიკურ ერთეულებს პარალელი ეძებნებათ საქართველოს სხვა კუთხეებშიც და ზოგადქართული ტრადიციისა და კულტურის ნაწილს წარმოადგენს.

48. დაბეჭდილია

49. „ერთი ლაზური გამონათქვამისათვის (ოშანა)“

მეტად საყურადღებო გამოთქმაა ლაზურში „ოშანა ბედი სქანის“ (ოშანა შენს ბედს). ასე მიმართავენ ადამიანს მისდამი კეთილი სურვილების გამოსახატავად, დასალოცად. ამ მიმართვაში თითქმის ისეთივე აზრია ჩადებული, როგორც გამოთქმებში: „ნეტავი შენს ბედს“, „დიდება შენს ბედს“. ქართულში გვხვდება ტერმინი ოსანა. როგორც ლაზურ, ისე ქართულ გამოთქმებს დალოცვითი ფუნქცია აკისრია და გამოთქმა ოშანაც შინაარსობრივად ამ ფუნქციასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

50. დაბეჭდილია

51. „კომპოზიტები აჭარული დიალექტის ლექსიკაში“

რთული სიტყვების წარმოქმნის თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა დიალექტები. ამ მხრივ მდიდარი ფაქტობრივი მასალა ჩნდება აჭარული დიალექტის ლექსიკაშიც და მიჰყვება ქართულ სალიტერატურო ენაში კომპოზიტთა მიღების წესებს.

კომპოზიტი, წარმოქმნის მომენტისათვის, ნეოლოგიზმია, მაგრამ იგი შეიძლება შედგენილი იყოს ისეთი ძირებით, რომელიც უკვე აღარაა ხმარებაში და ისტორიის კუთვნილებად ქცეულა. ამგვარ სიტყვა-ტერმინთა მიგნება და კვლევა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ლექსიკოლოგიაში. აჭარული დიალექტის ლექსიკაში დაფიქსირებულ კომპოზიტებშიც შემონახულია უძველესი, არქაული თუ ძველი ქართულისთვის ცნობილი ლექსემათა ძირები, საკუთრივ აჭარულისათვის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეულები, ქართულ-უცხოენოვანი ჰიბრიდული თუ ნასესხები კომპოზიტები.

ახალი, რთული ლექსიკური ერთეულების გაჩენა ენასა თუ დიალექტში უწყვეტი პროცესია და ასეთი სიტყვები ხშირად ლექსიკურ ფონდში მკვიდრდება.

52. „ლექსიკური ერთეულები და ხატოვანი სიტყვა-თქმანი დანდალოს ხეობის მეტყველებიდან“

მოხსენებაში ლექსიკურ ერთეულებსა და ზოგიერთ ხატოვან სიტყვა-თქმაზეა საუბარი დანდალოს ხეობის მეტყველების მიხედვით. მასალის ანალიზისას ვეყრდნობით ჩვენ მიერ ჩაწერილ ტექსტებს. გამოვლინდა, რომ აქაურთა მეტყველებას არაერთი ლექსიკური არქაიზმი დაუცავს. სახასიათოა საკუთრივ ლექსიკური დიალექტიზმებიც. ასევე, გვხვდება უცხო ენიდან შემოსული ლექსემები.

53. დაბეჭდილია

54. „საცხოვრებლის ტიპი ხელვაჩაურიდან“

მოხსენებაში განხილულია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარშალომიძეებში დაფიქსირებული მერიემ ვარშალომიძის საცხოვრებელი ნაგებობა, რომელიც ლოკალური თავისებურებებით ხასიათდება.

8. 2. უცხოეთში

მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **ბარამიძე რუსლან;** „Relatively European cities“: Russian emigrants in Yerevan, Tbilisi, Batumi and Baku; Center for Independent Social Research (CISR) e.V. Berlin-ის მიერ ორგანიზებულ კონფერენცია „WARning the CITIES“; 25-29 ნოემბერი, ბერლინი

2. **Irina Varshalomidze,** Zaza Shashikadze; „Karadeniz'in Doğu Kıyısından XII-XIII. Yüzyıllara Ait Anadolu Sikkeleri“, 14-15 th October, Uluslararası Afro - Avrasya Araştırmaları Kongresi, VI, Macedonia.

   ირინე ვარშალომიძე, ზაზა შაშიკაძე, „XII-XIII საუკუნეების მცირეაზიული მონეტები შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროდან“, 14-15ოქტომბერი, VI აფრო-აზიური საერთაშორისო კონგრესი; სკოპიე, მაკედონია, https://www.tuicakademi.org/wp-content/uploads/2022/12/Book-of-Abstracts-Afro-Eurasia_Skopje-1.pdf

3. **Elza Purkaradze, Naile Mikeladze, Naila Chelebadze**, “For Etymological Understanding of Toponym Manchkhauri”**,** 14–19 ноября, Казань, КАЗАНСКИЙ ФЕДЕРАЛЬНЫЙ УНИВЕРСИТЕТ

4. **Elza Purkaradze, Naile Mikeladze,** “Toponyms Related to Christianity in Upper Ajara”, September 20-21, Constanta University.

5. **Nargiz Akhvlediani**, Diana Akhvlediani, Nana Khocholava-Machavariani, FOR THE ETYMOLOGY OF SEVERAL TOPONYMS IN GEORGIAN HISTORICAL SOURCES, INTERNATIONAL ACADEMIC INSTITUTE BOOK OF ABSTRACTS Vienna International Academic Conference Education and Social Sciences Business and Economics University of Vienna 21 June 2022.

6. **Nargiz Akhvlediani,** Diana Akhvlediani, Nana Khocholava-Machavariani, Tamar Siradze, ZAN SUBSTRATUM IN WESTERN GEORGIAN PHYTOTOPONYMS, 19 September, Rome, Italy .

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

1. **„Relatively European cities“: Russian emigrants in Yerevan, Tbilisi, Batumi and Baku**

   მოხსენება მომზადებული იყო პროექტის Relatively European cities": Russian emigrants in Yerevan, Tbilisi, Batumi and Baku“ ფარგლებში. კვლევა განხორციელდა თბილისსა და ბათუმში. კვლევის შედეგად გამოკიტხული იყო რუსეთის ფედერაციიდან საქართველოში მიგრირებული პოლიტიკური მიგრანტები. კვლევის შედეგად გამოვლინდა როგორც მიგრაციის გამომწვევი ძირითადი მიზეზები, ისე რელოკაციის მარშრუტები, ადგიზლე დამკვიდრებისა და ყოველდღიურობის თავისებურებები; ასევე საქართველოში არსებული ვითარების შეფასება მიგრანტების მიერ და დროთა განმავლობაში გამოვლენილი ცვლილებები.

2. **„Karadeniz'in Doğu Kıyısından XII-XIII. Yüzyıllara Ait Anadolu Sikkeleri“**

   XII-XIII საუკუნის რუმის (კონიია) სასულთნოში მოჭრილი მონეტების მიმოქცევისა და გავრცელების საზღვრის კვლევის თვალსაზრისით საინტერესო ცნობას იძლევა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე გამოვლენილი ნუმიზმატიკური მასალა. ამ კუთხით, უდაოდ ინფორმაციულია სოფელ ცირისძირში (აჭარა) გასული საუკუნის 90- იან წლებში შემთხვევით აღმოჩენილი 108 სელჩუკური დრაქმისა და 2 ტრაპიზონის ასპრისაგან შემდგარი განძი. სელჩუკური მონეტები მოჭრილია სივასში, კონიაში და სულტანიეში. 1956 წელს ციხისძირშივეა შემთხვევით აღმოჩენილი 6 სელჩუკური მონეტა, მოჭრილი კონიასა და სივასში. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში აღნიშნული მონეტები ცნობილია მხოლოდ ციხისძირიდან, საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში კი ისინი ფართოდ მიმოიქცეოდნენ.

სხვა მნიშვნელოვანი აქტივობები

წლის განმავლობაში ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ორგანიზებით ჩატარდა ორი საერთაშორისო და ერთი ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენცია:

1.2022 წლის 21-22 მაისს, კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტის სამი მსოფლიო მონოთეისტური რელიგიის (იუდაიზმი, ქრისტიანობა და ისლამი) და კანონიკური სამართლის შესწავლისა და კვლევის ცენტრის თანამონაწილეობითა და ქ. ბათუმის მერიის დაფინანსებით, ჩატარდა XII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია **„ბათუმი - წარსული და თანამედროვეობა“.** კონფერენციაზე გამოტანილი იყო ქართველ და უცხოელ მეცნიერ-მკვლევართა ავტორობით წარმოდგენილი 35 მოხსენება.

გამოიცა კონფერენციის მასალათა კრებული:

„ბათუმი - წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალათა კრებული), XII, ISSN 1987-8745, ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 374 გვ.

კრებულის სარედაქციო კოლეგია:

როინ მალაყმაძე *(მთავარი რედაქტორი)*, **ოლეგ ჯიბაშვილი** *(პასუხისმგებელი რედაქტორი),* **სულხან მამულაძე** (*პასუხისმგებელი მდივანი*), მაია აზმაიფარაშვილი (გორი), დევიდ ბრაუნდი (დიდი ბრიტანეთი), ხათუნა დიასამიძე, ნიკოლაი დურა (რუმინეთი), **ირინა ვარშალომიძე, გიორგი თავამაიშვილი, ოთარ თურმანიძე, ნინო ინაიშვილი, ნოდარ კახიძე, თამილა ლომთათიძე, მერაბ მეგრელიშვილი,** როინ მეტრეველი (თბილისი), კატალინა მიტიტელუ (რუმინეთი), ავთანდილ ნიკოლეიშვილი (ქუთაისი), ლელა სარალიძე (თბილისი), **უჩა ოქროპირიძე, ელზა ფუტკარაძე,** ია შიუკაშვილი (თელავი), **მაია ჭიჭილეიშვილი**

2.2022 წელს, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში, „უმაღლესი განათლების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის კომპონენტის „კონფერენციის მოწყობა“ ფარგლებში, გაიმარჯვა ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მიერ წარდგენილმა პროექტმა **„შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“.**

სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა მიმდინარე წლის 5-6 ივლისს (ბსუ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №168 ხელშეკრულება). კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 14 ქვეყნის 200-ზე მეტმა წარმომადგენელმა. მიმდინარეობს მუშაობა კონფერენციის მასალათა კრებულის გამოსაცემად.

კონფერენციის სამეცნიერო და საორგანიზაციო კომიტეტებში მონაწილეობდნენ ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შემდეგი თანამშრომლები: **როინ მალაყმაძე, ოლეგ ჯიბაშვილი, სულხან მამულაძე, თამილა ლომთათიძე, ელზა ფუტკარაძე, მაია ჭიჭილეიშვილი, ნაილე მიქელაძე, უჩა ოქროპირიძე**, **ნარგიზ ახვლედიანი, გივი ნახუცრიშვილი, მერაბ მეგრელიშვილი, ფატი აბაშიძე, ცისნამი ბერიძე**.

3. ბათუმის კულტურის ცენტრის დაფინანსებით მიმდინარე წლის 12 მაისს ჩატარდა ღვთისმშობლის წილხვდომილობის დღისადმი მიძღვნილი ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენცია „ წილხვდომილობის დღესასწაული“. კონფერენციის სამეცნიერო და საორგანიზაციო კომიტეტებში მონაწილეობდნენ ბსუ- ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შემდეგი თანამშრომლები: **როინ მალაყმაძე, ოლეგ ჯიბაშვილი, ნაილა ჩელებაძე, მაია ჭიჭილეიშვილი, ნაილე მიქელაძე.**
   გამოიცა კონფერენციის მასალათა კრებული:
   „წილხვდომილობის დღესასწაული“.

განხორციელდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორი შიდა საუნივერსიტეტო გრანტი და აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის პროექტი:

1.“მასალები სტამბულის ქართული სავანიდან“, (შემსრულებლები: შუშანა ფუტკარაძე - პროექტის ხელმძღვანელი, მკვლევარები: როინ მალაყმაძე, ელზა ფუტკარაძე, ანა ბაგრატიონი).

2. „შხამიანი მცენარეები აჭარის ადგილობრივ და ინტროდუცირებულ ფლორაში (ეთნობოტანიკური შესწავლა)“, (მკვლევარები: თამილა ლომთათიძე, სულხან მამულაძე).

1. ტურიზმის სააგენტოს პროექტი: „ხალხური ტარდიციები და რიტუალები აჭარაში“ (შემსრულებლები: თამილა ლომთათიძე, როინი მალაყმაძე, ნანული ნოღაიდელი, ჯემალ მიქელაძე). მომზადდა ფერადი ილუსტრირებული წიგნი-ალბომი.

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორი რ. მალაყმაძე

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის სამეცნიერო
საბჭოს თავმჯდომარე ჯ. ვარშალომიძე